პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი | № 132 (10218) | კვირა, 5 ივნისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა

ივერიელი

დღეს მოსკოვში გაიხსნება 1955 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

მხურვალე სალამი გამოფენის მონაწილეებს, უხვი მოსავლის ოსტატებს და მეცხოველეობის აღმავლობისათვის მოწინავე მებრძოლებს!

## ახალი წარმატებებისათვის სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში!

დღეს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში ზეიმით აღიმართება 1955 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ალამი.

მუდმივმოქმედი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა მოწმობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუწყვეტელ მზრუნველობას სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

გამოფენაზე წარმოდგენილი მოწინავეთა გამოცდილება და მეცნიერების მიღწევები მოწმობენ საკოლმეურნეო წყობილების დიად ძალას და სიცოცხლისუნარიანობას.

საკოლმეურნეო წყობილებამ ფართო შესაძლებლობა შექმნა სოფლის მეურნეობის მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლინებისათვის. გამოფენის მთავარი სიმდიდრეა მისი საუცხოო ადამიანები, რომელთა გამოცდილება ძვირფასი საგანძურია. ამ გამოცდილების შესწავლა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დანერგვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აიარაღებს უდიდესი რეზერვებით მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის.

მიმდინარე წლის გამოფენა მუშაობას შეუდგა იმ დროს, როცა საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდეს შემოქმედებით მუშაობას ეწევა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დასახა საყოველთაო-სახალხო ამოცანა — უახლოესი 5-6 წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის საერთო წლიური მოსავალი აყვანილ იქნას 10 მილიარდ ფუთამდე და მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება გადიდდეს ერთიორად და უფრო მეტად. 1955 წლის გამოფენის მასალებში ნათლად არის ასახული საბჭოთა ხალხის ბრძოლა ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული გრანდიოზული ამოცანების გადასაწყვეტად.

მიმდინარე წლის გამოფენა ცხადყოფს საბჭოთა ხალხის — გმირი ხალხის თვალსაჩინო მიღწევებს მაღალმექანიზებულ სოციალისტურ მიწათმოქმედებაში. გამოფენაზე წარმოდგენილია პირველხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

მთავარი ამოცანა, რომლის გადაწყვეტას პარტია მთელ თავის ძალებს ახმარს, იყო და კვლავ არის საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცება და, მაშასადამე, მძიმე ინდუსტრიის დაჩქარებული განვითარება. მძიმე ინდუსტრია შეადგენს ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის და ურყევი თავდაცვისუნარიანობის მტკიცე საფუძველს, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების წყაროს. მხოლოდ მძიმე მრეწველობის წარმატებათა ბაზაზე შეიძლება უზრუნველვყოთ მსუბუქი, კვების მრეწველობისა და მრეწველობის სხვა დარგების შემდგომი განვითარება, სოფლის მეურნეობის აღმავლობა.

გასული წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში ახალ წარმატებათა მოპოვებას. ამიტომ ჩვენმა ხალხმა მას სამართლიანად უწოდა მოწინავე გამოცდილების საყოველთაო-სახალხო უნივერსიტეტი. მიმდინარე წლის გამოფენის უდიდესი მნიშვნელობა ის არის, რომ გაუწევს რა პროპაგანდას მოწინავე კოლმეურნეობების, მტსების და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილებას, იგი დააჩქარებს სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

გამოფენის უდიდესი მნიშვნელობა ის არის, რომ მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების საფუძველზე გვიჩვენებს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდების, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარების კონკრეტულ გზებს.

ფართოდ გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში საქართველოდან ათობით კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ, მეცხოველეობის ფერმამ და სოფლის მეურნეობის ასობით ნოვატორმა მოიპოვა 1955 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევები ნაჩვენებია საქართველოს სსრ პავილიონში. პავილიონში მნახველთა ყურადღებას იპყრობს ჩაის, ციტრუსების, ვაზის, თამბაქოს და სხვა ძვირფასი სპეციალური, სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების ექსპონატები.

საკოლმეურნეო სოფელში პარტიამ მზრუნველობით გამოზარდა შესანიშნავი კადრები, უხვი მოსავლისა და მეცხოველეობის საქმის ნამდვილი ოსტატები. მიმდინარე წლის გამოფენის მონაწილედ საქართველოდან არიან საკოლმეურნეო წარმოების ნიჭიერი ორგანიზატორები — მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ორაგველიძე, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ოსოშვილი, გაგრის რაიონის სოფელ ლესელიძის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. ერქვანია, უხვი მოსავლის ოსტატები და საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის მებრძოლნი — გორის რაიონის სოფელ მერეთის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური თ. გუდაძე, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობის მერგოლური ა. ფარცვანია, ბათუმის რაიონის სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი გ. ვარშანიძე, ლაგოდეხის რაიონის აფენის მტს-ის კომბაინერი ვ. ყაველაშვილი და მრავალი სხვა.

ჩვენი ამოცანაა მოკლე დროში მივაღწიოთ იმას, რომ რესპუბლიკაში არ გვყავდეს არცერთი ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობა. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მოწოდებული არიან სწრაფად და საფუძვლიანად დანერგონ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა მდიდარი გამოცდილება, ყოველი ღონისძიებით განავითარონ მეცნიერ და პრაქტიკოს მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივა, გაამრავლონ უხვი მოსავლისა და მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობის ოსტატთა რიგები.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომლები საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად შეუპოვრად იბრძვიან პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა იძლევა მდიდარ გამოცდილებას, რომლის გავრცელება დიდად დაეხმარება მშრომელებს მათს მისწრაფებაში — ვადამდე განახორციელონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ახალი მძლავრი აღმავლობის ვრცელი პროგრამა. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა საბჭოთა ადამიანების, საბჭოთა ხალხის სიამაყეა, მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიისა და მიწათმოქმედების ზეიმია.

## ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი და ა. ი. მიქოიანი სოფიაში

სოფია, 4 ივნისი. (საკდესი). დღეს, 4 ივნისს საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციამ, ამხანაგების ნ. ს. ხრუშჩოვის, ნ. ა. ბულგანინისა და ა. ი. მიქოიანის შემადგენლობით, რომელიც ბელგრადიდან მომავალი ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა სოფიაში, გვირგვინებით შეამკო გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმი და საბჭოთა არმიის მეომართა ძეგლი.

საბჭოთა დელეგაციის წევრებს თან ახლდნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვილკო ჩერვენკოვი, სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი დამიანოვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები გიორგი ჩანკოვი, რაიკო დამიანოვი და არმიის გენერალი ივანე მიხაილოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტოდორ ჟივკოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები გიორგი ცანკოვი და ენჩო სტაიკოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბორის ტასკოვი.

გვირგვინებით შემკობას დაესწრნენ სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ი. კ. პრიხოდოვი და საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები.

ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, ნ. ა. ბულგანინმა და ა. ი. მიქოიანმა ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა თანხლებით ინახულეს სოფიის ვოროშილოვის სახელობის ელექტრომრეწველობის ქარხანა. მუშები ოვაციებით და გულითადად შეხვდნენ საბჭოთა მთავრობის დელეგაციას. ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, ნ. ა. ბულგანინმა და ა. ი. მიქოიანმა დაათვალიერეს ქარხნის რამდენიმე საამქრო, გაეცნენ მის პროდუქციას და ესაუბრნენ მუშებს.

## სოფიიდან გამოემგზავრა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია

სოფია, 4 ივნისი. (საკდესი). დღეს სოფიიდან თვითმფრინავით გაემგზავრა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი და რომელიც ბულგარეთში იყო ოფიციალური მეგობრული ვიზიტით.

დელეგაცია ცენტრალურ აეროდრომზე გააცილეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვილკო ჩერვენკოვმა, სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გიორგი დამიანოვმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა გიორგი ჩანკოვმა, რაიკო დამიანოვმა და არმიის გენერალმა ივანე მიხაილოვმა, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ტოდორ ჟივკოვმა, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა გიორგი ცანკოვმა და ენჩო სტაიკოვმა, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბორის ტასკოვმა, ბულგარეთის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ტოდორ პრახოვმა, არმიის გენერალმა პეტრე პანჩევსკიმ, მინისტრებმა ატანას დიმიტროვმა, დანჩო დიმიტროვმა, დემირ იანევმა, დიმო დიჩევმა, ჟივკო ჟივკოვმა, კიმონ გეორგიევმა, კირილე ლაზაროვმა, მარინ გრაშნოვმა, დოქტორმა მინჩო ნეიჩევმა, პელო პელოვსკიმ, დოქტორმა პეტრე კოლაროვმა, რადი ნაიდენოვმა, რუსი ხრისტოზოვმა, სტანკო ტოდოროვმა, სტოიან ტონჩევმა, ტანო ცოლოვმა, ცოლა დრაგოიჩევამ, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მოსკოვში კარლო ლუკანოვმა, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია გააცილეს სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ი. კ. პრიხოდოვმა და საბჭოთა საელჩოს მთელმა შემადგენლობამ.

აეროდრომზე იყვნენ აგრეთვე სოფიაში აკრედიტებული საელჩოთა მეთაურები და წევრები.

აეროდრომი მორთული იყო სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით. გაცილების დროს ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

## დაიწყო ქერის მკა

გურჯაანი. („კომუნისტის“ კორ.). საკოლმეურნეო მინდვრებში დიდი შრომითი აღმავლობაა. კომბაინერები უცდიან პირველ სიგნალს, რათა მასობრივად გავიდნენ პურის ყანებში. გურჯაანის მტს-ის კომბაინერი ვ. ლუტიძე ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მინდვრებში შეუდგა ქერის მკას. მან დღენახევარში მოსავალი აიღო 16 ჰექტარზე, თვითეულ ჰექტარზე გალეწა 22 ცენტნერი ქერი.

## მოწინავეთა გამოცდილების უნივერსიტეტში

მოსკოვი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ამ დღეებში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიას განსაკუთრებით საზეიმო იერი აქვს. საერთო ფონზე მკაფიოდ გამოირჩევა ალისფერი დროშები და ალმები, ტრანსპარანტები და ვიმპელები. მოსკოვში დიდხანს გრძელდებოდა ცივი ამინდი, მაგრამ ბოლოს გამოიდარა, დათბა. თვალსახარებს ამწვანებული მიდამოები. თუმცა ცივ ამინდში ზოგიერთ ხეს გაუჭირდა, მაგრამ ვაშლის ხეები აყვავებულია. არა მარტო ვაშლის ხეები, არამედ გამოფენის მთელი ტერიტორია თვალწარმტაც თეთრ და ვარდისფერ სამოსელში ეხვევა, მიჩურინული ბაღი აყვავებულია.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ყოველდღე სულ უფრო მეტი გამოცოცხლებაა, სულ უფრო მეტი ხალხი იყრის თავს. აქ შეხვდებით საბჭოთა კავშირის მრავალეროვანი ოჯახის წარმომადგენლებს — გამოფენის მონაწილეებსა და ექსკურსანტებს: რუსებსა და უზბეკებს, უკრაინელებსა და ქართველებს, ესტონელებსა და სომხებს, ბელორუსებსა და აზერბაიჯანელებს.

პირველი ივნისიდან გამოფენის ტერიტორია სავსე იყო პირველი ექსკურსანტებით, რომლებიც ჩამოვიდნენ მოსკოვში იმისათვის, რომ შეისწავლონ მოწინავე მეურნეობებისა და წარმოების ნოვატორების მდიდარი გამოცდილება.

ადვილი წარმოსადგენია, შთაგონებული შემოქმედებითი შრომის რაოდენ მრავალ მისაბაძ მაგალითს ნახავენ ისინი გამოფენაზე, თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე 3.500 სტენდია. თვითეული სტენდი კი ყოველივე ახლის, პროგრესულის ამსახველია.

გასული წლისაგან განსხვავებით ბევრ სტენდზე ნაჩვენებია არა მარტო ის, რაც უკვე მიღწეულია, არამედ ისიც, თუ რა იქნება ამა თუ იმ მეურნეობაში ერთი-ორი წლის შემდეგ. ზუსტი გაანგარიშება, რაც საფუძვლად უდევს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონის კოლმეურნეობათა პერსპექტიულ გეგმებს, თვალნათლივ მოწმობს, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მიერ დასახულ ამოცანებს ბევრი მეურნეობა შეასრულებს არა 1960 წლისათვის, არამედ გაცილებით უფრო ადრე.

როგორც მოსალოდნელი იყო, გამოფენაზე ბევრი ექსკურსანტი ჩამოდის ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებიდან, საიდანაც სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეებად დამტკიცებული არიან ალტაის მხარე, სემიპალატინსკის და პავლოდარის ოლქები, რომლებმაც უკვე აითვისეს მიწის დიდი მასივები. ჯერ კიდევ 31 მაისს გამოფენაზე ჩამოვიდნენ გამოფენის მონაწილეთა და ექსკურსანტთა დიდი ჯგუფები ყაზახეთიდან, ალტაის მხარიდან, ჩელიაბინსკის, ნოვოსიბირსკის და სხვა ოლქებიდან.

ამ დღეებში ბევრი ექსკურსანტი ჩამოვიდა ყირგიზეთიდან, ბელორუსიიდან, უზბეკეთიდან, მოლდავეთიდან, კრასნოდარის მხარიდან, თათრეთის, ბაშკირეთის და ჩუვაშეთის ავტონომიური სს რესპუბლიკებიდან, ტამბოვის, კოსტრომის, რიაზანის, ტომსკის და კიროვის ოლქებიდან.

პირველი ჯგუფები ჩამოვიდნენ საქართველოდანაც — მახარაძის, გურჯაანის, ლაგოდეხის რაიონებიდან, აჭარიდან და აფხაზეთიდან.

გამოფენის მონაწილეებსა და ექსკურსანტებს შეუძლიათ არა მარტო ინახულონ თვითეული პავილიონი 76 პავილიონიდან, არამედ აგრეთვე შეისწავლონ გამოცდილება მოსკოვის ოლქის რაიონებში მდებარე 45 მეურნეობისა, რომლებიც თავიანთ მიღწევებს ადგილებზე აჩვენებენ. სტუმრების შესახვედრად მომზადებული არიან მოჟაისკის რაიონის კოლმეურნეობა „ბოროდინოში“, საბჭოთა მეურნეობა „გორკა-II“-ში, ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის ხაცდელ მინდვრებზე, არაშავნიადაგიანი ზოლის საკვების, მარცვლეული მეურნეობის ინსტიტუტებში და სხვ.

ისევე როგორც გასულ წელს, გამოფენის სხვა პავილიონებთან ერთად ჩამოსულთა შესახვედრად კარგად მოემზადნენ საქართველოს სს რესპუბლიკის პავილიონის მუშაკები, რომლებმაც დიდი შრომა გასწიეს პავილიონის გაფორმებისათვის. გამოფენის გაფორმება კარგი საქმეა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ თავისი შინაარსით საქართველოს პავილიონი გასულ წელთან შედარებით უფრო მდიდარია ექსპონატებით.

შეხვალთ თუ არა პავილიონის შესასვლელ დარბაზში, მაშინვე იგრძნობთ დეკორაციულ ლარნაკებში ჩალაგებული და სტენდებზე გამოფენილი სხვადასხვა ჯიშის ხილის, ციტრუსების სურნელებას. უკანასკნელ დღეებში პავილიონის სტენდებზე გაჩნდა მარწყვი, ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი და სხვ.

ამ დღეებში საქართველოს პავილიონში დიდძალი ხალხი მოდის. გარდა საქართველოს წარმოგზავნილებისა, ამ პავილიონში უკვე იყვნენ და საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა მიღწევებს გაეცნენ გამოფენის მონაწილეები და ექსკურსანტები მოლოდეჩნოს, გროზნოს, ბრესტის, ომსკის, ნოვოსიბირსკის, ვორონეჟის ოლქებიდან, ბელორუსიის, ლიტვის, აზერბაიჯანის, სომხეთის სს რესპუბლიკებიდან, პიონერთა სახლებისა და სასახლეების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეები, რუსეთის სფსრ ხორცკომბინატების მუშაკები, ქალაქ მოსკოვის პროფკავშირულ მუშაკთა ჯგუფი და ბევრი სხვა.

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტში

## საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა ინგლისის საზოგადო მოღვაწეს დენის პრიტს

3 ივნისს კრემლში, სვერდლოვის დარბაზში, საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა ინგლისის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეს, დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტს **დენის ნოელ პრიტს**.

გადაცემა მოხდა საბჭოთა საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენლის — მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის წევრთა, პროფკავშირების წარმომადგენელთა თანდასწრებით. დარბაზში იყო აგრეთვე დიდი ჯგუფი დედაქალაქის იურისტებისა, რომლებიც მოვიდნენ, რათა მისალმებოდნენ თავიანთ ინგლისელ კოლეგას, რომელსაც მაღალი ჯილდო მიენიჭა.

ცერემონიას დაესწრნენ სსრ კავშირში სტუმრად მყოფნი — საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატები კომიტეტის წევრი საჰიბ სინგ სოკხეი (ინდოეთი) და ფელიქს ივერსენი (ფინეთი), აგრეთვე ინგლისელ მუშაკთა პროფკავშირული დელეგაციის წევრები.

დარბაზში დენის პრიტისა და მისი მეუღლის მ. ფ. პრიტის შემოსვლას შეკრებილნი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

ზეიმი გახსნა მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ მწერალმა **ნ. ს. ტიხონოვმა**. მან წარმოთქვა მოკლე სიტყვა.

რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნდა კომიტეტის დადგენილება დ. ნ. პრიტისათვის საერთაშორისო სტალინური პრემიის მიკუთვნების შესახებ. დამსწრეთა ტაშის გრიალში ნ. ს. ტიხონოვმა დენის პრიტს გადასცა ლაურეატის დიპლომი და ოქროს მედალი.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა სსრ კავშირისაგან **ე. ლ. ზეიდინმა**, მწერალმა **ა. ა. სურკოვმა**, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ პროფესორმა **ა. ი. დენისოვმა**, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა. ი. ვიშინსკის სახელობის სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფესორმა **პ. ე. ორლოვსკიმ**, 1-ლი სახელმწიფო საკისრის ქარხნის ტექნიკოსმა **მ. ა. ბოდროვმა**. მათ გულთბილად ილაპარაკეს ლაურეატის დამსახურებაზე ადამიანის თავისუფლებისა და უფლებებისათვის ბრძოლაში, საერთაშორისო სამართლის დამრღვევთა მხილებაში, მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

ორატორებმა აღნიშნეს აგრეთვე დ. ნ. პრიტის, როგორც სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის ინგლისის საზოგადოების უცვლელი თავმჯდომარის დიდი როლი ინგლისელი და საბჭოთა ხალხების მეგობრული ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებაში.

საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატმა დენის პრიტმა წარმოთქვა საპასუხო სიტყვა, რომელიც დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს.

(საკდესი).



სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. კოლმეურნეობათა მოედნის ხედი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში

## თეორიულ გასაუბრებაზე

ქუთაისი. (საქ. კორ.). [illegible] და წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტთა დიდმა ნაწილმა თეორიის საფუძვლიანი ცოდნა გამოამჟღავნა.

საავტომობილო ქარხანაში 370-ზე მეტი კომუნისტი ეუფლება დამოუკიდებლად მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს. თეორიულმა გასაუბრებამ ცხადყო, რომ კომუნისტთა უმრავლესობა კარგად მუშაობს თავის თავზე. განსაკუთრებით ეს ითქმის უფროსი ოსტატის ვ. ჩხენკელის, კონტროლიორ ბ. სილაგაძის, ზეინკალ ბ. შათირიშვილის, მღარავ ვ. გალდავაძისა და სხვების შესახებ. ნორმალის სამქროს ტექნოლოგმა ვ. ბახუტაშვილმა საფუძვლიანად შეისწავლა ი. ბ. სტალინის ნაშრომი: „სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში". გასაუბრების დროს მან დამაჯერებლად განმარტა თანამედროვე კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონები.

თეორიული გასაუბრებისას გამოირკვა, რომ ზოგიერთი კომუნისტი უპასუხისმგებლოდ მოეკიდა თავის თავზე მუშაობას. საწნეხ-საარმატურო სამქროს პარტორგანიზაციაში (მდივანი ო. ცაგარეიშვილი) კომუნისტები გ. შეიშვილი, ნ. კუზნეცოვი და სხვები ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ პოლიტიკური ცოდნისადმი. მათ აქამდე არ შეუსწავლიათ საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებები.

სიჩქარის კოლოფის სამქროში კომუნისტი შ. ქორქოლიანი აცხადებს „მოკლე კურსის" პირველი ორი თავი შევისწავლეო, მაგრამ სინამდვილეში წარმოდგენაც არა აქვს პარტიის ისტორიის მთელ რიგ საკითხებზე.

ამჟამად ქარხნის ყველა პირველადს პარტორგანიზაციაში ეწყობა პარტიული კრებები, რომლებზეც განიხილავენ პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის შედეგებს და სახავენ ღონისძიებებს გამომჟღავნებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

## პარტიული ჯგუფების ორგანიზატორთა თათბირი

ბათუმი. (საქ. კორ.). პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტმა უკანასკნელ ხანებში გააძლიერა მუშაობა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებთან და პარტჯგუფორგებთან. მათ დასახმარებლად ხშირად ეწყობა სემინარები და თათბირები.

ამას წინათ საქალაქო კომიტეტში გაიმართა პარტიული ჯგუფების ორგანიზატორთა თათბირი. პარტიული ჯგუფების როლისა და ამოცანების, მათი მუშაობის ორგანიზაციის შესახებ მოხსენება გააკეთა პარტიის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ფ. მახარაძემ.

მუშაობის თავიანთ გამოცდილებაზე თათბირის მონაწილეებს მოუთხრეს პარტჯგუფორგებმა ვ. მეფარიშვილმა (სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა), რ. სარიანმა (ფეხსაცმლის ფაბრიკა), გ. ოვანესიანმა (მთავარნავთობგასაღების ბათუმის სამმართველო), ნ. ორდოევმა (ნავსადგური).

## პარტორგანიზაციების მდივნების სემინარი

ახალციხე. (საქ. კორ.). პარტიის რაიკომმა მოაწყო პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების ხუთდღიანი სემინარი. სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს ლექცია თემაზე: პირველადი პარტორგანიზაციების ამოცანები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. ლექცია-მოხსენებანი გაიმართა აგრეთვე პარტიის წესდების, კომუნისტის მორალური სახის, უპარტიო აქტივთან მუშაობის, პოლიტიკური აგიტაციის ფორმებისა და მეთოდების, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების შესახებ და სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე.

# დაღისტნელი პოეტები ქართველ მწყემსებთან

დუშეთი. (საქ. კორ.). [illegible] ნაროს, რომლებიც ურთიერთშორის ჩაბმული არიან საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ამ დღეებში დუშეთის რაიონს ეწვიენ დაღისტნელი სტუმრები — სტალინური პრემიის ლაურეატი, ცნობილი პოეტი რასულ გამზატოვი და დაღისტნის სახალხო პოეტი ა. გაფუროვი.

გუდამაყრის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ცენტრში — სოფელ ჩოხში სტუმრების შესახვედრად თავი მოიყარეს საზამთრო საძოვრებიდან დაბრუნებულმა მწყემსებმა. აქ იყვნენ აგრეთვე მწველავები, არტელის მოწინავე ადამიანები, სოფლის ინტელიგენტები.

სტუმრების შეხვედრისადმი მიძღვნილი კრება გახსნა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ზურდულმა.

სტუმრებს მიესალმნენ და კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის თავიანთ საქმიანობაზე ილაპარაკეს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. მეფურიშვილმა და პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ი. წიკლაურმა.

სიტყვა წარმოთქვა დაღისტნის სახალხო პოეტმა ა. გაფუროვმა.

— სამოცდაათი წლის კაცი ვარ, — თქვა მან, — მე კარგად მახსოვს ის დრო, როცა მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილე იყო, როცა თვითმპყრობელობა ხალხთა შორის განზრახ ნერგავდა უნდობლობას და შუღლს. სამუდამოდ წავიდა ის დრო. დიდმა ბელადებმა ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა, მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ ერთ მეგობრულ ოჯახად აქციეს ჩვენი დიადი სამშობლო. ამის შესანიშნავი მაგა- [illegible] მატებები სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საქმეში.

ტრიბუნაზეა პოეტი რასულ გამზატოვი. იგი აღნიშნავს, რომ როგორც დაღისტნელი, ისე ქართველი მწერლები დიდ ვალში არიან ჩვენი მამაცი მეცხოველეების წინაშე, რომელთა გმირული შრომის მხატვრულ ასახვას ჯერ კიდევ საკმარისი ყურადღება არ ექცევა.

რ. გამზატოვმა დამსწრეთ აღუთქვა, რომ თავის ლექსებში უფრო სრულყოფილად, მაღალმხატვრულად ასახავს მეცხოველეებისა და კერძოდ, მწყემსების ცხოვრებას და მათს შემოქმედებითს შრომას.

სიტყვის დასასრულს პოეტმა თქვა:

— ჩვენ ვიმყოფებით საქართველოს ლაჟვარდი ცის ქვეშ — სოფელ ჩოხში. სიტყვა ჩოხი ჩვენებურად ნიშნავს ბევრს, ხოლო ჩოხ-საღოლ — დიდ მადლობას. ნება მომეცით გულითადი ჩოხ-საღოლ ვუთხრა ჩვენს ძვირფას მასპინძლებს, ჩოხელებს, რომლებმაც ასეთი გულთბილი შეხვედრა მოგვიწყეს.

სიტყვა წარმოთქვა და ახალი ლექსი წაიკითხა პოეტმა ი. ნონეშვილმა. მწყემსებისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა აგრეთვე რ. გამზატოვმა.

დაღისტნის სახალხო პოეტმა ა. გაფუროვმა ხალხურ საკრავზე შეასრულა რამდენიმე ლეკური მელოდია.

სოფელ ჩოხის მოსწავლეებმა წაიკითხეს რ. გამზატოვის და ა. გაფუროვის ლექსების ქართული თარგმანები.

დასასრულ გაიმართა მხატვრული თვითშემოქმედების კონცერტი.

# საშუალო სკოლადამთავრებულნი საწარმოებსა და კოლმეურნეობებში

ამ დღეებში პლეხანოვის სახელობის კლუბში მოეწყო თბილისის ლენინის რაიონის სკოლების მეთერთმეტე კლასების მოსწავლეთა შეხვედრა საწარმოთა მოწინავე ადამიანებთან. შეხვედრა გახსნა კომკავშირის რაიკომის მდივანმა ამხ. მ. სირაძემ.

შეხვედრაზე მოხსენება გააკეთა ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ტყეშელაშვილმა.

ტრიბუნაზეა მე-8 საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე ლ. არველაძე. იგი ამბობს:

— საბჭოთა ახალგაზრდის ბედნიერი გზა ნათელი და მრავალფეროვანია. ჩემი სურვილია საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ვიმუშაო საწარმოში, თავდადებული შრომით წვლილი შევიტანო საყვარელი სამშობლოს შემდგომი აყვავების საქმეში. ამასთან ერთად ხალისით განვაგრძობ დაუსწრებლად სწავლას უ მ ა ღ ლ ე ს სასწავლებელში. მთელ ჩემს ცოდნას, მთელ ჩემს ენერგიას მოვახმარ ხალხთა ბედნიერებას, მშვიდობას!

მე-7 საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელმა ვ. ასლამაზაშვილმა სურვილი გამოთქვა სიმწიფის ატესტატის მიღების შემდეგ სამუშაოდ წავიდეს მტს-ში, იბრძოლოს უხვი მოსავლის მიღებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის.

კრების დამსწრეთ თავისი შრომითი გამოცდილების შესახებ მოუთხრო სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ცნობილმა ნოვატორმა ი. ჭუმბურიძემ. პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს მოწინავე მუშა-მოსწავლეებმა მ. სიჭინავამ, ვ. ბუთხუზმა და სხვ.

შეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ქახრაკიამ.

# ლეგენდარული გმირი

## ნ. შჩორსის დაბადების 60 წლისთავი

[illegible] დამპყრობლებისა და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის სახელოვან ისტორიაში. დიდებით მოსილი მისი სახელი ღირსეულად დგას სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირების ჩაპაევის, კოტოვსკის, პარხომენკოს, ლაზოს უკვდავ სახელებს შორის.

შჩორსის ხანმოკლე, მაგრამ თავისი შინაარსით უაღრესად მდიდარი ცხოვრება და საბრძოლო მოღვაწეობა სოციალისტური სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურის აღმაფრთოვანებელი მაგალითია.

ნ. ა. შჩორსი დაიბადა 1895 წლის 6 ივნისს უკრაინის ქალაქ სნოვსკში (ამჟამად ქ. შჩორსი) რკინიგზის მემანქანის ოჯახში. მან ადგილობრივი რკინიგზის სკოლა დაამთავრა ქების სიგელით, მაგრამ სწავლის გაგრძელება ვერ მოახერხა, რადგან ცარიზმის დროს ამის შესაძლებლობა არ ეძლეოდათ მშრომელთა შვილებს. მხოლოდ დიდი წვალების შემდეგ შეძლო მან მოეწყობილიყო კიევის სამხედრო-საფერშლო სკოლაში და ორი წლის შემდეგ სამხედრო ფერშლის დიპლომით ქ. პოლტავაში დაიწყო დამოუკიდებელი მუშაობა. აქ ის უკავშირდება არალეგალურ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, ეცნობა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებებს, პარტიის პროგრამას და ეწევა აქტიურ რევოლუციურ მუშაობას.

პირველი მსოფლიო ომის დროს შჩორსი პრაპორშჩიკის ჩინით მოქმედ არმიაში იმყოფებოდა სამი წლის განმავლობაში.

1918 წლის დასაწყისში დაჭრილი და ტუბერკულოზით დაავადებული შჩორსი ბრუნდება თავის მშობლიურ ქალაქში. ეს ის პერიოდია, როცა დაიწყო სამოქალაქო ომი უცხოელი ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უკრაინის მუშებმა და გლეხებმა სახალხო ომი გამოუცხადეს გერმანელ ოკუპანტებს და მათ დამქაშებს — ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს და თეთრგვარდიელებს. გერმანელი დამპყრობლები და მათი ხელისშემწყობნი ძარცვავდნენ უკრაინას, ქლეტდნენ მშრომელებს, სურდათ მოესპოთ საბჭოთა ხელისუფლება და თავის კოლონიად გადაექციათ უკრაინა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მთელ უკრაინაში მასობრივად იქმნებოდა წითელი პარტიზანული რაზმები მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

როცა გერმანელი დამპყრობლები მიუახლოვდნენ ქ. სნოვსკს, პარტიული კომიტეტის დავალებით 23 წლის შჩორსი მიემგზავრება სოფელ სემიონოვსკოეში, სადაც იმყოფებოდა ჩერნიგოვის ოლქის პარტიზანულ რაზმთა ცენტრი, და სათავეში უდგება გაერთიანებულ პარტიზანულ რაზმს. მგზნებარე ორატორი, დიდი ორგანიზატორული ტალანტის მქონე შჩორსი პარტიზანულ რაზმში ამყარებს მტკიცე დისციპლინას და რეგულარული არმიის სამხედრო წესებს, განამტკიცებს მის ბრძოლისუნარიანობას. ოსტატურად იყენებდა რა პარტიზანული ბრძოლის ტაქტიკას, შჩორსი თავისი რაზმით თავს ესხმოდა გერმანელ ოკუპანტებს ნოვოზიბკოვის, ზლინკის, კლინცის რაიონებში, იჭრებოდა მტრის ზურგში და სერიოზულ დარტყმებს აყენებდა მას.

1918 წლის მაისში გერმანელ ოკუპანტთა 300-ათასიანი არმიის შემოტევის გამო უკრაინელ წითელგვარდიელთა და პარტიზანთა რაზმების უმრავლესობა გადავიდა მოძმე საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე. უკრაინის რაიონებ- [illegible] მათ დროს ცენტრალური რადა და უკრაინის გეტმანად (მმართველად) გამოაცხადეს ჩერნიგოველი მემამულე გენერალი სკოროპადსკი. დაიწყო უკრაინის მშრომელთა სახალხო ომი „თავისი" და უცხოელი მჩაგვრელების წინააღმდეგ. მუშები და გლეხები მასობრივად



მიდიოდნენ პარტიზანულ რაზმებში, ამზადებდნენ შეიარაღებულ აჯანყებას.

1918 წლის აპრილის ბოლოს შჩორსი მოსკოვში ჩავიდა. იგი მიიღო რევოლუციის გენიამ ვ. ი. ლენინმა, რომელმაც მისცა რჩევა-დარიგება, თუ როგორ უნდა განეგრძოთ ბრძოლა უკრაინის განთავისუფლებისათვის. ლენინთან საუბარმა შჩორსი აღაფრთოვანა სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ლენინთან შეხვედრის შემდეგ შჩორსი გაიგზავნა აღმოსავლეთის ფრონტზე, 1918 წლის აგვისტოში კი ჩავიდა ქ. უნეჩაში. შჩორსმა გადასცა მეგობრებსა და თანამებრძოლებს ვ. ი. ლენინის მითითებები და დიდი ენთუზიაზმით შეუდგა მათს განხორციელებას. მან პარტიზანული რაზმებისაგან ჩამოაყალიბა პირველი რეგულარული პოლკი უკრაინაში, რომელსაც ეწოდა ბოგუნის პირველი პოლკი. ეს სახელი პოლკს ეწოდა XVII საუკუნის მხედართმთავრის ივანე ბოგუნის პატივსაცემად, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შეწირა უკრაინელი ხალხის მჩაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლას. შჩორსის ირგვლივ თავს იყრიდნენ მებრძოლები უკრაინის ყველა კუთხიდან, რომლებიც თავიანთ ახალგაზრდა მეთაურს ღრმა პატივისცემის ნიშნად ძია მიკოლა შჩორსს, ზოგჯერ კი მამა მიკოლა შჩორსს ეძახდნენ.

22 სექტემბერს უკრაინის რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა ბრძანება ნეიტრალურ ზონაში — ბრიანსკის ტყეების სამხრეთ ნაწილში — ორი დივიზიის ჩამოყალიბების შესახებ. უკრაინის არმიის დასახმარებლად ი. ბ. სტალინმა გაგზავნა ცარიცინის გმირული დაცვის მონაწილეთა ერთი ჯგუფი.

1918 წლის 11 ნოემბერს სახალხო კომისართა საბჭომ მუშურ-გლეხურ წითელ არმიას დირექტივა მისცა დაეწყო მტრის წინააღმდეგ შეტევა უკრაინის მუშათა და გლეხთა განმათავისუ- [illegible] მოწინავე ნაწილებს მიუძღოდა.

ასრულებდა რა ი. ბ. სტალინის ბრძანებას, შჩორსის ბრიგადამ გაათავისუფლა ქალაქები კლინცი, ჩერნიგოვი და 1919 წლის 5 თებერვალს შევიდა უკრაინის დედაქალაქ კიევში. გმირული ბრძოლებისათვის ბოგუნისა და ტარაშჩანის პოლკებს საბჭოთა მთავრობის დადგენილებით გადაეცათ საპატიო წითელი დროშები. შჩორსი და მისი თანამებრძოლი ბოჟენკო დაჯილდოებულ იქნენ საპატიო ოქროს იარაღით. შჩორსი დაინიშნა განთავისუფლებული კიევის კომენდანტად.

1919 წლის მარტიდან შჩორსი მეთაურობდა უკრაინის პირველ საბჭოთა დივიზიას, რომელიც შემდეგ მუშურ-გლეხური წითელი არმიის 44-ე მსროლელ დივიზიად იწოდებოდა. დივიზია ანადგურებდა პეტლიურას ჯარებს ფასტოვთან, ბერდიჩევთან, ჟმერინკასა და ვინიცასთან.

თავდადებულ საბრძოლო მოღვაწეობასთან ერთად შჩორსი განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებოდა სამხედრო კადრების მომზადებას. მის დივიზიაში შექმნილი იყო წითელ მეთაურთა კურსები, რომელიც სანიმუშო საბრძოლო ნაწილად ითვლებოდა.

1919 წლის ზაფხულში დაიწყო ანტანტის მეორე ლაშქრობა. სამხრეთიდან უტევდნენ დენიკინელები, დასავლეთიდან — ინტერვენტები. დაიწყო პეტლიურას ბანდების შემოტევაც. ივნისში შჩორსის დივიზიამ სასტიკი დარტყმა აყენა პეტლიურას ბანდებს პროსკუროვთან და გაათავისუფლა ნოვგოროდ-ვოლინსკი, დუბნო, როვნო და მიაღწია გალიციის საზღვრებს. ივლისში პეტლიურას ნაწილებმა შეძლეს სამხრეთით წითელი ნაწილების ფრონტის გარღვევა. შეიქმნა შჩორსის დივიზიის რკალში მომწყვდევის საფრთხე. შჩორსმა მიიღო ბრძანება: რადაც უნდა დამჯდარიყო შეენარჩუნებინა სტრატეგიული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი კოროსტენის რკინიგზის კვანძი, რომელიც კიევს აკავშირებდა საბჭოთა რუსეთთან. მთელი ზაფხულის განმავლობაში შჩორსის დივიზია რამდენიმე ასეულ კილომეტრ ფრონტზე აკავებდა პეტლიურელების, პოლონელების შემოტევას. 30 აგვისტოს დენიკინელები მიადგნენ დნეპრის გადასასვლელებს კიევთან. ამავე დღეს პეტლიურას ნაწილები შეიჭრნენ შჩორსის დივიზიის მარცხენა ფლანგზე. შჩორსმა მოამზადა კონტრდარტყმისათვის თავისი უკანასკნელი რეზერვი — წითელ მეთაურთა სკოლა, თვითონ კი გაემგზავრა ფრონტის ყველაზე საშიშ უბანზე, სადაც იდგა მის მიერ პირველად ჩამოყალიბებული ბოგუნის პოლკი. ეს იყო სოფელ ბელოშიცასთან. აქ სისხლისმღვრელ ბრძოლაში გმირულად დაეცა ლეგენდარული მხედართმთავარი.

ასე დასრულდა შეუდრეკელი ბოლშევიკის, უკრაინელი ხალხის ერთგული შვილის, სამოქალაქო ომის გმირის, „უკრაინელი ჩაპაევის", როგორც მას ი. ბ. სტალინი უწოდებდა, მგზნებარე სიცოცხლე.

სამშობლოსადმი უანგარო თავდადებამ შჩორსს მოუპოვა ხალხის უსაზღვრო სიყვარული. საბჭოთა ხალხი შჩორსის შესახებ ქმნის ლეგენდებს, ლექსებს, მოთხრობებს მისი გმირობის, თავდადების სადიდებლად.

უკვდავია სახალხო გმირის შჩორსის სახელი საბჭოთა ადამიანების გულში. სამშობლოსათვის მისი გმირული თავდადება აღაფრთოვანებს ჩვენს ადამიანებს პატრიოტულ შრომასა და ბრძოლაში.

## ნ. ვ. გოგოლის მუზეუმის ახალი ექსპონატები

სოფელი ბოლშიე სოროჩინცი (პოლტავის ოლქი), (საქტესი). ნ. ვ. გოგოლის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი, რომელიც შექმნილია მწერლის სამშობლო სოფელ ბოლშიე სოროჩინცში, შეივსო ახალი ძვირფასი ექსპონატებით. ამას წინათ მოსკოვიდან მიიღეს მწერლის უბის წიგნაკი, მისი პორტფელი, რამდენიმე პირადი ნივთი.

ახალი ექსპონატების შეძენაში მუზეუმს დიდ დახმარებას უწევენ რუსეთის ფედერაციის სამეცნიერო-ლიტერატურული დაწესებულებანი. უცხოეთის ლიტერატურის საკავშირო ბიბლიოთეკამ სოფლის მუზეუმს საჩუქრად გადასცა გოგოლის ნაწარმოებნი ჩინურ, ბულგარულ და პოლონურ ენებზე.

ძვირფას საჩუქრებს შორის არის მხატვრების ბოკლევსკისა და აგინის ილუსტრაციები გოგოლის ნაწარმოებებისათვის, საბჭოთა მხატვრის ბერნშტეინის ავტოლიტოგრაფიები თემაზე „გოგოლის ადგილებში".

# გავაუმჯობესოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სოფლად

პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დასახა დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანა — უახლოეს 5-6 წელიწადში მარცვლეულის ყოველწლიური მოსავალი აყვანილ იქნას სულ ცოტა 10 მილიარდ ფუთამდე და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება გადიდდეს ერთიორად და უფრო მეტად. ამ საყოველთაო-სახალხო ამოცანის გადაჭრა უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია პარტიული ხელმძღვანელობის დონეზე, მასებში პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობაზე.

ხელმძღვანელობს რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტის, ივნისისა და იანვრის პლენუმების გადაწყვეტილებებით, ჭიათურის რაიონის პარტიული ორგანიზაცია სერიოზულ მუშაობას ეწევა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის, განამტკიცებს პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობას.

სექტემბრის პლენუმის შემდეგ საგრძნობლად გაუმჯობესდა რაიონის კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობა. კოლმეურნეობის 31 თავმჯდომარიდან 23 ამხანაგს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება აქვს, ხოლო საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების 31 მდივნიდან ოცდაერთი საშუალო განათლებით არის. კოლმეურნეობის თავმჯდომარეებად გაგზავნილმა ამხანაგებმა ლ. ნადირაძემ, ბ. კობერიძემ, გ. სამხარაძემ, გ. თაბაგარმა და რ. გამეზარდაშვილმა მუშაობის კარგი მაგალითი გვიჩვენეს.

პარტიის რაიკომი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პარტორგანიზაციების მდივნების, მათი მოადგილეების და პარტჯგუფორგანიზატორების პოლიტიკურ აღზრდას. სისტემატურად ეწყობა სემინარები, რომლებზეც განიხილავენ პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის საკითხებს. პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სამეურნეო წარმატებათა საფუძველია. ამას მოწმობს გასული სამეურნეო წლის შედეგები. მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, იქ, სადაც პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა მოწოდების სიმაღლეზე იდგა, შარშან მაინც უკეთესი შედეგები იქნა მოპოვებული წინა წელთან შედარებით.

პარტიული კრება კომუნისტთა აღზრდის სკოლაა. რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში დიდი ყურადღება ექცევა პარტიული კრების მომზადებისა და ჩატარების საკითხს. ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში კომუნისტები აქტიურად მონაწილეობენ კრებაზე განსახილველი საკითხების შერჩევასა და მომზადებაში. ამის შედეგად მიღებული დადგენილებები უფრო კონკრეტული და საქმიანია. სოფელ წირქვალის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციამ განიხილა საგაზაფხულო კულტურების თესვისათვის მზადების საკითხი. კამათში 12 კაცმა მიიღო მონაწილეობა. მათ აღნიშნეს, რომ კოლმეურნეობას აკლია სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, ხოლო არსებული ინვენტარის ნაწილი შესაკეთებელია. საჭირო ყურადღება არ ექცევა გამწევი ძალის მოვლა-პატრონობას, გაწმენდილი და სრულ კონდიციამდე აყვანილი არ არის თესლი. ამავე დროს კოლმეურნეობის გამგეობა თითქმის არაფერს აკეთებს ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. პარტიულმა კრებამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი და დააწესა ამ ღონისძიებათა შესრულების ვადები. დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლაში ჩაება ყველა კომუნისტი, კომკავშირელი და კოლმეურნე, რის შედეგად კოლმეურნეობამ საგაზაფხულო კულტურების თესვა 25 აპრილისათვის დაამთავრა და ახლა სანიმუშოდ უვლის ნათესებს.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის ბრძოლის კარგ მაგალითს იძლევა სოფელ ნიგოზეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია. თებერვალში კოლმეურნეობის პარტიულმა კრებამ განიხილა მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საკითხი. კომუნისტებმა ღრმა ანალიზი გაუკეთეს პირუტყვის დაბალი პროდუქტიულობის მიზეზებს და პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების საფუძველზე დასახეს მეცხოველეობის განვითარების კონკრეტული ღონისძიებანი.

კომუნისტებმა აღნიშნეს, რომ კოლმეურნეობას ყველა პირობა აქვს პროდუქტიულობის დაწესებული გეგმის შესრულებისათვის, მაგრამ კოლმეურნეობის გამგეობის და მეცხოველეობის მუშაკების უყურადღებობის გამო ეს შესაძლებლობანი გამოუყენებელია. პარტიული კრების გადაწყვეტილებით ფერმაში სამუშაოდ დამატებით გაიგზავნენ კომუნისტები და კომკავშირელები, შეიქმნა პარტიული ჯგუფი ფერმაში, გამოცოცხლდა საგიტაციო-მასობრივი მუშაობა, გაუმჯობესდა დედაპირუტყვის მოვლა-პატრონობა და გაძლიერდა ზრუნვა მიღებული ნამატის შენარჩუნებისათვის. ამის შედეგად 20 მაისისათვის თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია ორჯერ და კიდევ უფრო მეტი რძე, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

წელს უკეთესად მუშაობს მტს-ის პარტიული ორგანიზაცია. პარტიულმა ორგანიზაციამ გამოარკვია, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურში იარაღ-მანქანების რემონტი პირველ ხანებში ნელი ტემპით და დაბალი ხარისხით მიმდინარეობდა. საკითხი კომუნისტების მსჯელობის საგნად გახდა. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად მდგომარეობა გამოსწორდა. მექანიზატორებს შორის გაძლიერდა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა.

რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში სათანადო სიმაღლეზე ვერ იყო დაყენებული მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება. ხშირად დადგენილება შეუსრულებელი რჩებოდა და კომუნისტები ასუსტებდნენ მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობას. შარშან ივნისში პარტიის ჭიათურის რაიკომის პლენუმმა განიხილა საკითხი მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმების დაყენების შესახებ და სათანადო გადაწყვეტილება მიიღო. ახლა პარტიული ორგანიზაციები მეტ ყურადღებას აქცევენ მიღებულ დადგენილებათა შესრულებას, აწყობენ მის შემოწმებას და ზომებს იღებენ იმათ მიმართ, რომლებიც უგულებელყოფენ პარტიულ დადგენილებებს.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებამ საგრძნობლად აამაღლა კომუნისტთა ავანგარდული როლი საკოლმეურნეო წარმოებაში. შარშან თვითეულმა შრომისუნარიანმა კოლმეურნემ საშუალოდ 132 შრომადღე გამოიმუშავა, ხოლო თვითეულმა კომუნისტმა — 188 შრომადღე. წელს პარტიულმა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობათა გამგეობებმა და მტს-მა გაითვალისწინეს შარშანდელი ნაკლოვანებანი და განახორციელეს საჭირო ღონისძიებები საგაზაფხულო სამუშაოთა მაღალხარისხოვნად და აგროტექნიკურ ვადებში შესასრულებლად, მეცხოველეობაში სულადობის ზრდისა და ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობის გასაუმჯობესებლად, მიღებული ნამატის საუკეთესოდ გამოზრდისა და პირუტყვის პროდუქტიულობის ასამაღლებლად. ამ ღონისძიებებმა ის შედეგი გამოიღო, რომ რაიონმა საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. გაითოხნა და გადაიბარა ვენახებისა და ჩაის პლანტაციების მთელი ფართობი. ნაკვეთებში საკმაო რაოდენობით შეტანილია მინერალური და ორგანული სასუქები. თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 85 პროცენტით მეტი რძე გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

რაიონის მშრომელებს შორის აგიტაციას ეწევა 700-ზე მეტი აგიტატორი და წამკითხველ-მესაუბრე. მათი დიდი უმრავლესობა კომუნისტები და კომკავშირელები არიან. ბევრი მათგანი, როგორც მაგალითად, ს. ტაბატაძე (მეჩხეთური), გ. ჩინჩალაძე (ტყემლოვანა), გ. ბიწაძე (ნავარძეთი), შ. ჩუბინიძე (რცხილათი), ტ. ბიბიაშვილი (ითხვისი) და სხვები მუშაობის კარგ მაგალითს იძლევიან, მათი საუბარი მიმზიდველი და დამაჯერებელია. ამავე დროს კაცხ-სალიეთის, სარქველეთუბნის და პერევისის კოლმეურნეობებში ზოგიერთი აგიტატორი ნაკლებ პასუხისმგებლობას გრძნობს დაკისრებული მოვალეობისადმი, ვერ არის მაგალითის მაჩვენებელი საზოგადოებრივ შრომაში. მ. ი. კალინინის მოსწრებული სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ აგიტატორებზე კოლმეურნეები ამბობენ: „გიცნობთ, რაცა ხარ, ჩვენ კი გვირჩევ, მაგრამ შენ თვითონ სხვაგვარად ფიქრობ და ისე არ მოქმედებ, როგორც ლაპარაკობ".

უკანასკნელ ხანებში მეტი ყურადღება ექცევა ლექციურ პროპაგანდას. რაიონის კოლმეურნეობებში სისტემატურად იმართება ლექციები და მოხსენებები, გაიზარდა ლექტორებისა და მომხსენებლების პასუხისმგებლობა, გაუმჯობესდა ლექციური პროპაგანდის ხარისხი. მიუხედავად ამისა, ამ საქმეშიც ყველაფერი რიგზე არ არის. ზოგი ლექცია და მოხსენება ნაკლებად დამაჯერებელი და დამაინტერესებელია. ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების ლექტორთა ჯგუფის მუშაობაში. პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი რაიონული საზოგადოებაც საკმაო რაოდენობით არ აწყობს მოსახლეობაში ლექცია-მოხსენებებს.

პარტიის რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი ჭიათურის მტს-ის ზონაში მნიშვნელოვან პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობას ეწევა. საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციებმა მეცხოველეობის ფერმებში, საწარმოო ბრიგადებსა და რგოლებში უნარიანად, მიზანშეწონილად გაანაწილეს კომუნისტები. შექმნეს პარტიული ჯგუფები, რამაც ხელი შეუწყო ადგილებზე პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებას, მასებთან კავშირის განმტკიცებას, პარტიული გავლენის გაძლიერებას. პარტიული ჯგუფების შექმნამ დიდად შეუწყო ხელი მიღებულ დადგენილებათა შესრულებას და პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას. მიუხედავად ამისა, რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი მტს-ის ზონაში ჯერ კიდევ ვერ მუშაობს ისე, როგორც ამას მოითხოვს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების მიერ დასახული ამოცანები.

შარშან რაიკომის ბიურომ მოისმინა მტს-ის ზონის ინსტრუქტორის პ. მოდებაძის მოხსენება მისი მომსახურების კოლმეურნეობებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების შესახებ და დასახა ღონისძიებანი ინსტრუქტორთა ჯგუფის მუშაობის უკეთესად წარმართვისათვის. განხილულ იქნა აგრეთვე სოფელ უსახელოსა და სოფელ წირქვალის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების მდივნების ანგარიში საწარმოო ბრიგადებსა და ფერმებში პარტიული ჯგუფების მუშაობის შესახებ.

სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მაღალ დონეზე დაყენების საქმეში პარტიის ჭიათურის რაიკომს ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი აქვს. რაიონის პარტიული ორგანიზაციის მოვალეობაა გააძლიეროს ბრძოლა ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის. საჭიროა უფრო ქმედითი და საქმიანი გავხადოთ რაიკომის დახმარება და კონტროლი პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი, შემდგომ ავამაღლოთ სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონე.

პ. აბესაძე,
საქართველოს კომპარტიის ჭიათურის რაიკომის მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამოფენა მოწინავე გამოცდილების საყოველთაო-სახალხო სკოლაა!

★ ★ ★ ★

## ლაპარაკობენ გამოფენის მონაწილენი

## ბეჯითი შრომის შედეგი

ბათუმის რაიონის მახინჯაურის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის მიერ 1953 წელს მოპოვებული წარმატებების შედეგად ჩვენი ფერმა და მისი 3 მუშაკი — მწველავი ემინე ზერიძე, მეხბორე ემინე მახარაძე და ვეტტექნიკოსი ნ. ჟუტოვი შარშან გამოფენის მონაწილენი გახდნენ. ჩვენი ქვეყნის წარჩინებულ მეცხოველეთა — გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ ის, რასაც ჩვენ მივაღწიეთ, მხოლოდ დასაწყისია.

პროდუქტიულობის მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად ჩვენ შევიმუშავეთ მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი, განსაკუთრებით კი საკუთარი საკვები ბაზის შექმნის დარგში. ამის შედეგად გასულ წელს საშუალო წველადობა ფერმაში 2.310 კილოგრამამდე გავზარდეთ. კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს ცალკეულმა მწველავებმა. ე. ზერიძემ თვითეულ ძროხაზე საშუალოდ 2.554 კილოგრამი რძე მიიღო, გ. ბოლქვაძემ — 2.616 კილოგრამი.

აღსანიშნავია მეხბორე ე. მახარაძის თავდადებული შრომა. მან გასულ წელს 36 ძროხიდან მიიღო და შეინარჩუნა 37 ხბო. ამასთან ხბოების საშუალო სადღეღამისო მატება 650 გრამს შეადგენდა.

ძროხების სულადობა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯოგში 36-დან 50 პროცენტამდე გავზარდეთ, საგრძნობლად გავაფართოეთ და განვამტკიცეთ საკვები ბაზა, შევქმენით საზაფხულო და საზამთრო მწვანე კონვეიერი, გავადიდეთ სიმინდის, ძირხვენების, გოგრის, აგრეთვე საკვები კომბოსტოს ფართობები.

სილოს ვაყენებთ ციტრუსოვანთა რიგებსა და ტერასებს შუა ფართობებში დასათესად. გადაწყვეტილი გვაქვს წელს თვითეულ საფურავე ძროხაზე დავამზადოთ სულ ცოტა 5-6 ტონა სილოსი, 40 ძროხიდან თვითეულ საფურავე ძროხაზე 2.900 კილოგრამი რძე მივიღოთ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.510 კილოგრამისა. პირობას ვდებთ აგრეთვე, რომ წველადობის 1960 წლისათვის გათვალისწინებულ დონეს — თვითეულ ძროხაზე 3.200 კილოგრამი რძის მიღებას — მივაღწევთ ვადამდე — 1956 წლისათვის.

**ნ. ჟუტოვი,**
ბათუმის რაიონის მახინჯაურის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის ვეტტექნიკოსი.

## უფლება მოპოვებულია

წინანდლის ლენინის ორდენოსანი საბჭოთა მეურნეობის ვენახების ფართობი 595 ჰექტარს აღემატება. აქედან 360 ჰექტარი სრულმოსავლიანია. წელს მეურნეობას 30 ჰექტარი ახალი ვენახი შეემატება.

მეურნეობის მუშაკთა თავდადებული შრომით ყურძნის მოსავლიანობა წლითიწლობით მატულობს. ჩვენი მეურნეობა 1954 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე იყო. გამოფენის მონაწილე ვიქნებით წელსაც. მოსკოვში კარგი მაჩვენებლებით მივდივართ. შარშან საშუალოდ ჰექტარზე 63,9 ცენტნერი ყურძენი მივიღეთ, გეგმა კი 60 ცენტნერს ითვალისწინებდა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა განყოფილებამ, რომელსაც ლ. არსენაშვილი ხელმძღვანელობდა. განყოფილების 88 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულ იქნა 102 ცენტნერი ყურძენი. ბრიგადებს შორის პირველობა გ. ზედანაშვილის ბრიგადამ მოიპოვა — საშუალოდ ჰექტარზე 107 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. მერგოლურმა, სოციალისტური შრომის გმირმა ივანე ბადათრიშვილმა, რომელიც შარშან გამოფენის მონაწილე იყო, ყურძნის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 133 ცენტნერამდე აიყვანა.

ყურძნის უხვი მოსავლის მიღებისათვის გამოფენის მონაწილედ წარდგენილია მეურნეობის 23 მუშაკი. მათ შორის არიან მთავარი აგრონომი გ. მოდებაძე, ბრიგადირები გ. ზედანაშვილი და ს. გემაზაშვილი, მერგოლურები ი. ბადათრიშვილი, ზ. ხუციძე, გ. გემაზაშვილი და სხვები.

მეურნეობის კოლექტივმა წელს საშუალოდ ჰექტარზე 65 ცენტნერი ყურძნის მიღება იკისრა და სოციალისტურ შეჯიბრებაში მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა გამოიწვია. ვალდებულების გასანაღდებლად მეურნეობის მთელი კოლექტივი ბეჯითად შრომობს.

ვენახის სამუშაოები ყველაზე უკეთესად მიმდინარეობს იმ განყოფილებებში, რომლებსაც აგრონომები დ. სპარსიაშვილი და ი. ნაცვლიშვილი ხელმძღვანელობენ.

**ა. უთიაშვილი,**
წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი.

## ნატვრა აგვისრულდა

ჩვენს კოლმეურნეობაში სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეჭარხლეობას. კოლმეურნეები კარგად არიან დაუფლებულნი შაქრის ჭარხლის მოყვანის აგროტექნიკას. ამიტომ ყოველწლიურად ვზრდით მოსავლიანობას. შარშან შაქრის ჭარხალი 40 ჰექტარზე გვეთესა და საშუალოდ ჰექტარზე 495 ცენტნერი მოსავალი მივიღეთ, მაშინ როცა გეგმა 315 ცენტნერის მიღებას ითვალისწინებდა. სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩავაბარეთ 6.803 ცენტნერი ჭარხალი. ამ წარმატებებისათვის ჩვენმა კოლმეურნეობამ მოიპოვა 1955 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება. ნატვრა აგვისრულდა!

კოლმეურნეთა შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, რათა წელს 50 ჰექტარი ნათესი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მივიღოთ 500 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მერგოლურმა ანა ელისაშვილმა ვალდებულება იკისრა 4,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღოს 1.200 ცენტნერი ჭარხალი.

შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მიღებისათვის გადავდგით პირველი ნაბიჯები. ჭარხალი მზრალად მოხნულ და კარგად განოყიერებულ ნიადაგში დავთესეთ. ამიტომ მცენარეები კარგად არის აღმოცენებული და განვითარებული. ყოველ ჰექტარზე შევინარჩუნეთ 111.000 ძირი მცენარე. პლანტაცია უკვე ორჯერ გავთოხნეთ. გამზადებული გვაქვს სარწყავი არხები. დამატებითი გამოკვებისათვის მინერალური სასუქები მოვიმარაგეთ.

**ა. არხოშაშვილი,**
ქარელის რაიონის სოფელ ქვემო ხვედურეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

## კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო ამხანაგებო!

### საუბარი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დირექტორთან აკადემიკოს ნ. ვ. ციცინთან



3 ივნისს საქართველოს პავილიონი ინახულა აკადემიკოსმა ნ. ვ. ციცინმა. ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეებმა მას უჩვენეს თავიანთ ყანებში მოყვანილი ხორბალი და მათ მიერ გამოყვანილი ხორბალ-ჭანგის ჰიბრიდი, რითაც აკადემიკოსი ნ. ვ. ციცინი დიდად კმაყოფილი დარჩა. საუბარს დაესწრნენ მახარაძის რაიონის კოლმეურნეებიც. სურათზე: აკადემიკოსი ციცინი (მარცხნიდან მეორე) საქართველოს პავილიონში ესაუბრება ქართველ კოლმეურნეებს.

• • •

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა სტუმართმოყვარულად ეგებება ძვირფას სტუმრებს — კოლმეურნეებს, მექანიზატორებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, რომლებიც დედაქალაქში ჩამოვიდნენ საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხიდან. გამოფენა მკაფიოდ ადასტურებს სოციალისტური საზოგადოების სულ უფრო მზარდ ძალებსა და შესაძლებლობებს, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურყევ კავშირს. მისი პავილიონი—სასახლეები, ვრცელი ბაღები და ნათესები, მეცხოველეობის ფერმები ცოცხალი, მღელვარე მოთხრობაა იმ წარმატებებზე, რასაც დღეისათვის მიაღწია საბჭოთა ქვეყნის მსხვილმა მექანიზებულმა სოფლის მეურნეობამ, რომელიც ემყარება მძლავრ ინდუსტრიულ ტექნიკურ ბაზას, მეცნიერების მიღწევებს და მოწინავე პრაქტიკას.

1954 წლის გამოფენა იყო შრომის პროგრესული მეთოდების მასობრივი სკოლა. ბევრი რამე, რაც ამ სკოლაში ხდებოდა, მრავალჯერ გამეორდა წარმოებაში. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების წარმოგზავნილნი წარმატებით ეუფლებოდნენ ყოველივე ახალს, რაც ხელს უწყობდა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებას.

წლევანდელი გამოფენა კიდევ უფრო ფართოდ გვიჩვენებს მოწინავე მეთოდებს და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მათი გამოყენების შედეგებს. გამოფენაზე შეგროვებული და მეცნიერულად განზოგადებულია 882 კოლმეურნეობის, 361 საბჭოთა მეურნეობის, 172 მანქანა-ტრაქტორთა სადგურის, 206 სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების, ასობით სხვა დაწესებულებისა და ორგანიზაციის უმდიდრესი გამოცდილება. ფართო ჩვენებით წარმოდგენილია პავილიონებში სოფლის მეურნეობის 10 ათასზე მეტი მოწინავისა და ნოვატორის მიღწევები.

1955 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა არსებითად განსხვავდება წინა გამოფენისაგან. შარშან გამოფენის ყველაზე დიდი კოლექტიური მონაწილეები იყო 207 რაიონი. ახლა მათი რიცხვი მნიშვნელოვნად გადიდდა. უფრო მეტიც: გამოფენის მონაწილეებად პირველად გამოდიან მთელი რესპუბლიკები, მხარეები და ოლქები. სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის გამოფენის მონაწილეებად დამტკიცებული არიან ტაჯიკეთის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, ალტაის მხარე, ლენინგრადის, კურგანის, რიაზანის, მურმანსკის, პავლოდარის, ჩელიაბინსკის, სემიპალატინსკის ოლქები.

კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. მთელი რიგი მაგალითებით გამოფენა გვიჩვენებს, თუ როგორ აპირებენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უფრო ეფექტიანად გამოიყენონ მიწის სავარგულები, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს უახლოეს დროში მიაღწიონ ისეთ დონეს, რომელიც დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებით. ცენტრალური შავმიწადაგიანი ოლქების პავილიონში მნახველები გაეცნობიან საზოგადოებრივი მეურნეობის პერსპექტიულ დაგეგმვას კურსკის ოლქის ხომუტოვის რაიონის სოფელ კალინოვკის სასოფლო-სამეურნეო არტელში. კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს წლის განმავლობაში გააორკეცონ მარცვლეულის წარმოება და 2-3 წელიწადში შეასრულონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დავალებანი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დარგში.

გამოფენაზე ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია სიმინდს. მასზე მოგვითხრობს 260 სტენდი. მარცვლეულისა და მეცხოველეობის პავილიონებში მას დათმობილი აქვს მთელი დარბაზები.

უკრაინის სსრ პავილიონში არის სტენდი ხმელნიცკის ოლქის გოროდოკის რაიონის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობისა, რომელიც გამოფენის მონაწილეა 22 მაჩვენებლის მიხედვით. შედარებით მოკლე დროში სასოფლო-სამეურნეო არტელმა მარცვლეულის მოსავლიანობა და საერთო მოსავალი ერთიორად გაადიდა. ეს შესაძლებელი გახდა სიმინდის მოყვანის მეოხებით. შარშანდელ გვალვიან ზაფხულში ჰექტარზე აღებულია 39,5 ცენტნერი მარცვალი. სიმინდის მოყვანამ საკვებით უზრუნველყო საზოგადოებრივი მეცხოველეობა. 1954 წელს საშუალოდ თვითეული ძროხის წველადობამ მიაღწია 2.744 კილოგრამს. მეღორეობის ფერმაში გასუქებულია 640 ღორი; ყოველ ას ჰექტარ ხნულზე მიღებულია 33 ცენტნერი ღორის ხორცი.

1955 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ნაჩვენები იქნება ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების უმდიდრესი გამოცდილება. მარცვლეული მეურნეობის განვითარებისათვის ბრძოლის მკაფიო სურათს გვიჩვენებს ალტაის მხარის კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მაგალითი. მარცვლეულის პავილიონში ნოვო-ეგორიევსკის მტს-ის ექსპონირებული მასალები გვიჩვენებს ახალ მიწებზე ხორბლის მოყვანის გამოცდილებას. 1954 წელს კოლმეურნეობებმა, რომლებსაც ეს სადგური უწევს მომსახურებას, საგაზაფხულო ხორბლის მოსავალი მიიღეს საშუალოდ 25,3 ცენტნერი 8 ათასი ჰექტარი ათვისებული ყამირის თვითეულ ჰექტარზე. დანარჩენ ძველნახნავ ფართობებზე აღებულია 23,4 ცენტნერი ჰექტარზე.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა წელს იძლევა ვრცელ მასალას მეცხოველეობის პროგრესული მეთოდების შესასწავლად. მრავალი დოკუმენტი და ნატურალური ექსპონატი წარმოდგენას იძლევა მეცხოველეობის ფერმების მუშაობის ეკონომიურ მაჩვენებლებზე, წარჩინებული ნოვატორების — მწველავების, მესაქონლეების, მეხბორეების, მწყემსების, მეფრინველეების მუშაობის ხერხებზე.

მეცხოველეობის პავილიონში ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება გადიდდეს წელიწადში თვითეული ძროხის წველადობა 500 და 1.000 კილოგრამითაც კი. დაწვრილებით არის ნაჩვენები გამოფენის მონაწილეთა — რიაზანის და ჩელიაბინსკის ოლქების და მთელი რიგი რაიონების მეცხოველეთა გამოცდილება.

ათობით კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, რომლებიც ექსპონირებულია მეცხოველეობის, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, მეცხვარეობის, მეღორეობის პავილიონებში, გვიჩვენებს თავის საწარმოო მიღწევებს. კერძოდ, საინტერესოა კოსტრომის ოლქის ნეკრასოვის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი კოლექტივისტის“ მაგალითი. ბოლო დროს ამ მეურნეობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ეკონომიური მაჩვენებლები. სასოფლო-სამეურნეო არტელში ას ჰექტარ სავარგულებზე ახლა 26 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვია, მათ შორის 12 ძროხა, თითო ძროხაზე რძე მიღებულია 346 ცენტნერი — 80 ცენტნერით მეტი, ვიდრე 1953 წელს.

წელს შარშანდელზე უფრო ფართოდ იქნება ნაჩვენები პირუტყვი და ფრინველი. დემონსტრირებული იქნება პირუტყვი, რომელიც თავისი პროდუქტიულობით სჯობნის 1954 წლის გამოფენის ჩემპიონებსა და რეკორდისტებს.

სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარება უზრუნველყოფილია საკოლმეურნეო წარმოების მექანიზაციის მაღალი დონით. საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობამ სოფლის მეურნეობა აღჭურვა მაღალი წარმადობის ტექნიკით. მრავალ მოედანზე, „მტს-ის ტიპურ კარმიდამოში“ გამოფენილია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის 1.370-ზე მეტი ნიმუშის სხვადასხვა მანქანა.

წელს გამოფენაზე განსაკუთრებით აღინიშნება მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ახალი როლი. მათ დაეკისრათ პასუხისმგებლობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისთვისაც. მთავარ პავილიონში, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის პავილიონში ნაჩვენებია მოწინავე მტს-ების საგულისხმო გამოცდილება.

ყოველივე პროგრესული და მოწინავე, რაც ნაჩვენებია 1955 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, კოლმეურნე გლეხობის მრავალმილიონიანი მასების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის კუთვნილება გახდება.

წელს გამოფენას დაათვალიერებს ყველა რაიონის, ოლქის, მხარის, რესპუბლიკის 350 ათასი წარმომადგენელი. გამოფენაზე მოდიან მუშები, მოსამსახურეები, სტუდენტები, მოსწავლეები, ჯარისკაცები, დიასახლისები. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან საბჭოთა დედაქალაქში ჩამოდიან ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო ამხანაგებო!

## ლაპარაკობენ გამოფენის მონაწილენი

## შეძლებული ცხოვრების გზით

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა სოფელ მერეთის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობა. მერეთელ კოლმეურნეებს ახარებთ თავიანთი თავდადებული შრომის შესანიშნავი შედეგი. შარშან რესპუბლიკაში შრომადღეზე ყველაზე მეტი ფული ჩვენთან განაწილდა. თვითეულ შრომადღეზე გავეცით 49 მანეთი და 30 კაპიკი.

ჩვენთან მეხილეობა წარმოადგენს კოლმეურნეობის ფულადი შემოსავლის მთავარ წყაროს. 1954 წელს მეურნეობის ამ დარგმა კოლმეურნეობას ოთხი მილიონი მანეთი შემოსავალი მისცა. ხილის ისეთი უხვი მოსავალი, როგორიც გასულ წელს გვქონდა, მანამდე არასოდეს არ მიგვიღია. ას ხუთი ჰექტარი მსხმოიარე ბაღის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოვიყვანეთ 126 ცენტნერი ვაშლი. გაცილებით უფრო დიდი მოსავალი მიიღეს ცალკეულმა ბრიგადებმა და რგოლებმა. იმ რგოლმა, რომელსაც მოწინავე მეხილე ქალი ელენე ბაიაძე ხელმძღვანელობს, მოსავლელად მიჩენილი 8 ჰექტარი მსხმოიარე ბაღის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 187,32 ცენტნერი ხილი. მას არც ის რგოლი ჩამორჩა, რომლის ხელმძღვანელია თამარ გუდაძე!

საკოლმეურნეო ცხოვრებამ ახალი ელფერი მისცა სოფელს. გვაქვს სასოფლო კლუბი, ბიბლიოთეკა, სოფელში მუშაობს საკოლმეურნეო რადიოკვანძი. შარშან 60-მდე კოლმეურნემ აიშენა ახალი კაპიტალური ბინები. ახალ სახლებში ჩასახლდნენ კოლმეურნეები თ. გუდაძე, ბ. მახარაშვილი, გ. გორგიშელი, ზ. შევარდნაძე. ახლა კოლმეურნეთა ოჯახები დამშვენებულია ძვირფასი საოჯახო ნივთებით. კოლმეურნეებს გ. ბაიაძეს, ი. სიმონიშვილს, ო. გორგიშელს, ს. ჩოჩელს და სხვებს აქვთ მსუბუქი ავტომანქანები.

**მ. ანიაშვილი,**
გორის რაიონის სოფელ მერეთის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

## სასახელო შრომა

ბავშვობიდანვე შემიყვარდა ჩაის კულტურა, მიზიდავდა მისი ხავერდოვანი ბუჩქები. შევისწავლე ჩაის ფოთლის კრეფა. ვეცნობოდი მოწინავე მკრეფავთა მუშაობის ხერხებსა და მეთოდებს. მალე წარმატებები მოვიპოვე. კოლმეურნეობის გამგეობამ მეხუთე ბრიგადის პირველი რგოლის ხელმძღვანელობა მომანდო. რგოლის ყველა წევრი დავრაზმე ჩაის მოსავლიანობის გასადიდებლად. ამის შედეგად ყოველწლიურად წარმატებებს ვაღწევთ. პირადად მე მოსავლელად მაქვს 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაცია.

1953 წელს 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში 7 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოვკრიფე. შარშან, მიუხედავად ზაფხულის გვალვიანი ამინდებისა, იმავე ფართობზე მოსავლიანობა 500 კილოგრამით გავადიდე და 726 შრომადღე გამოვიმუშავე. კოლმეურნეობიდან ფულად 21.800 მანეთი მერგო, ხოლო პრემიადანამატის სახით — 4.800 მანეთი. ნატურის სახით 2.540 კილოგრამი მარცვალი მივიღე.

როგორ ვაღწევ წარმატებებს?

ჩემი მუშაობის გამოცდილებას ყოველთვის ვუზიარებ კოლმეურნეობის ახალგაზრდა მეჩაიეებს. ახლგაზრდე ჩაის ფოთლის კრეფის ათობით ოსტატი, მათ შორის ლილი, ძაბული, ნათელა ფარცვანიები, ფენია ჯანაშია და სხვები.

გასულ წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ექსკურსანტად ვიყავი. კარგად გავეცანი ჩვენი დიადი ქვეყნის უხვი მოსავლის ოსტატთა შესანიშნავ მიღწევებს.

მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ გამოფენაზე მიღებული მდიდარი გამოცდილება პრაქტიკულად დავნერგე რგოლში.

გასული წლის მაჩვენებლებით მოვიპოვე 1955 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება. ეს აღმაფრთოვანებს და ახალი შრომითი მიღწევებისაკენ მომიწოდებს.

**ა. ფარცვანია,**
ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი.

## საამაყო მაჩვენებლებით

სოფელ ეწრის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობას მეცხოველეობის 4 ფერმა აქვს. მათ შორის არის საჯიშე ღორების ფერმა.

ფერმა დაკომპლექტებულია შრომისმოყვარე, საქმის მცოდნე კადრებით. შეიქმნა მტკიცე საკვები ბაზა. საკმარისია ითქვას, რომ მარტო ფერმისპირა ნაკვეთის 17 ჰექტარზე დავთესეთ საკვები საზამთრო, გოგრა და სიმინდი. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პირუტყვის მოვლა-პატრონობა.

პირუტყვის კვებისა და მოვლა-შენახვის გაუმჯობესებით კარგი მაჩვენებლები მოვიპოვეთ. ამას ადასტურებს გასული წლის შედეგები. მაგალითად, 45 დედაღორიდან საშუალოდ თვითეულზე მივიღეთ და შევინარჩუნეთ 16,5 გოჭი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14-სა. სასახელო მაჩვენებლები მოიპოვეს ცალკეულმა მომვლელებმა. მაგალითად, მეღორე ტ. ვაშაკიძემ მოსავლელად მიჩენილი 8 დედაღორიდან საშუალოდ თვითეულზე მიიღო და შეინარჩუნა 20 გოჭი, ხოლო ა. კალაძემ, რომელსაც მოსავლელად მიჩენილი ჰყავდა 8 დედაღორი, თვითეულზე მიიღო და შეინარჩუნა 19,5 გოჭი.

მეღორეობის დარგში მოპოვებულ წარმატებათა შედეგად მეღორეობის ფერმა 1955 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა ფართო ჩვენებით. გამოფენის მონაწილენი არიან მომვლელები ტ. ვაშაკიძე, ა. კალაძე, ზოოტექნიკოსი მ. კვაჩეიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი.

ფერმაში ამჟამად 50 დედაღორი გვყავს ნაცვლად გასული წლის 45-სა. გადაწყვეტილი გვაქვს წელს თვითეულ დედაღორზე მივიღოთ და შევინარჩუნოთ 17 გოჭი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14-სა. სამეურნეო წლის განვლილ 8 თვეში თვითეულ დედაღორზე მივიღეთ და შევინარჩუნეთ 8,5 გოჭი.

ფერმის მუშაკთა კოლექტივი ახლა იმისათვის იბრძვის, რომ წარმატებით შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება.

**ს. შენგელია,**
სამტრედიის რაიონის სოფელ ეწრის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეობის საჯიშე ფერმის გამგე.







სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დარგობრივი პავილიონები ამ დღეებში შეივსო ახალი ექსპონატებით საქართველოს სს რესპუბლიკიდან. სურათებზე: 1. საუბარი ჩაის პლანტაციაში. მახარაძის რაიონის გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი ა. ქურიძე აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის კოლმეურნეებს უამბობს, თუ როგორ აღწევენ ჩაის მაღალ მოსავალს. 2. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მიერ გამოშვებული ავტომატარებელი, რომელიც განკუთვნილია ნედლი ბამბის გადასაზიდად. 3. სტალინური პრემიის ლაურეატის ა. ნატროშვილის მიერ გამოყვანილი ახალი ქართული ჯიშის ცხვრები მეცხვარეობის პავილიონში.

ფოტო ე. გინზბურგისა.

# უცხოეთის გამოხმაურება

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დეკლარაციის გამო

### იუგოსლავია

ბელგრადი, 3 ივნისი. (საკდესი). დღეს იუგოსლავიის ყველა გაზეთი პირველ გვერდზე აქვეყნებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობების დეკლარაციის ტექსტს. გაზეთი „ბორბა" მოწინავეს უძღვნის ამ მოვლენას.

ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა ფოტოსურათები, სადაც აღბეჭდილია დეკლარაციის ხელმოწერის მომენტი, და ამ დოკუმენტის ხელმოწერისადმი მიძღვნილი ვრცელი ანგარიშები, რომლებიც ახასიათებენ მის დიდმნიშვნელობას ორივე ქვეყნისათვის და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისათვის.

ბელგრადი, 3 ივნისი. (საკდესი). როგორც ტანიუგის სააგენტო იუწყება, დღეს გაზეთი „პოლიტიკა" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იუგოსლავიისა და საბჭოთა მთავრობების ერთობლივი დეკლარაციით მთავრდება დიდმნიშვნელოვანი მოლაპარაკება ორ ქვეყანას შორის. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ მოლაპარაკებამ, რომელიც ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა, ცხადყო, რომ თანასწორუფლებიანობის პირობებში მოლაპარაკების წარმოების მეთოდი გადაუჭრელი საერთაშორისო საკითხების მოგვარებისა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების ერთადერთი საშუალებაა.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ერთობლივი დეკლარაცია წარმოადგენს კონკრეტულ წვლილს საყოველთაო მშვიდობის სტაბილიზაციის საქმეში და თანაარსებობის პრინციპების პრაქტიკულად გამოყენებას; იგი ქმნის საფუძველს იუგოსლავიასა და საბჭოთა კავშირს შორის თანამშრომლობისათვის და ორ სახელმწიფოს შორის წინანდელი არანორმალური ურთიერთობის ნაშთების აღმოფხვრისათვის.

### პოლონეთი

ვარშავა, 3 ივნისი. (საკდესი). დღეს პოლონეთის ყველა ცენტრალურმა გაზეთმა გამოაქვეყნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობების დეკლარაცია.

სტატიაში „დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი" გაზეთი „ტრიბუნა ლიუდუ" წერს:

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის დეკლარაცია უწინარეს ყოვლისა ცხადყოფს, რომ მოლაპარაკების მეთოდი არის გზა, რომელსაც უშუალოდ მოსდევს საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრა.

აღნიშნავს რა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ძმობას ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ომის პერიოდში, დეკლარაცია გამოხატავს ორივე მხარის გულწრფელ მისწრაფებას — შემდგომ განავითარონ თანამშრომლობა სსრ კავშირსა და იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას შორის ყველა დარგში თანასწორობისა და ნაცვალგების პრინციპებზე მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებისათვის.

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის დეკლარაცია, ხაზგასმით აღნიშნავს „ტრიბუნა ლიუდუ", არის დიდი დადებითი წვლილი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში, რომელიც ძვირფასია მთელი მსოფლიოს ასობით მილიონი ადამიანისათვის.

### ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 3 ივნისი. (საკდესი). დღეს გაზეთებმა „რუდე პრავომ", „პრაცემ", „ზემედელსკე ნოვინიმ", „ლიდოვე დემოკრაციემ", „ობრანა ლიდუმ" და ჩეხოსლოვაკიის სხვა ცენტრალურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობების დეკლარაცია, ცნობა დეკლარაციის ხელმოწერის შესახებ და სხვა მასალები.

### უნგრეთი

ბუდაპეშტი, 3 ივნისი. (საკდესი). დღეს ყველა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილზე მოათავსა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობების დეკლარაცია.

### რუმინეთი

ბუქარესტი, 3 ივნისი. (საკდესი). ყველა დღევანდელმა ცენტრალურმა გაზეთმა პირველ გვერდზე დიდი სათაურებით გამოაქვეყნა ცნობა ბელგრადში სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დეკლარაციის ხელმოწერის შესახებ და ამ დეკლარაციის სრული ტექსტი.

### ალბანეთი

ტირანა, 3 ივნისი. (საკდესი). საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობების დეკლარაცია, რომელსაც ა. წ. 2 ივნისს მოაწერეს ხელი ბელგრადში, დღეს პირველ გვერდზე გამოაქვეყნა ალბანეთის ყველა გაზეთმა. გაზეთები ბეჭდავენ აგრეთვე ცნობას დეკლარაციის ხელმოწერის შესახებ.

### საფრანგეთი

პარიზი, 3 ივნისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების შედეგებს ძირითადი ადგილი უკავია პარიზის პრესის კომენტარებში. გაზეთებმა გამოაქვეყნეს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დეკლარაციის სრული ტექსტი ან მეტად დაწვრილებითი შინაარსი და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მოლაპარაკების შედეგებმა შეიძლება მეტად დიდი გავლენა მოახდინონ საერთაშორისო მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე. ბურჟუაზიული პრესის კომენტარები გამოხატავენ უკმაყოფილებას, რაც საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებამ გამოიწვია დასავლეთის ქვეყნების იმ წრეებში, რომლებიც დაინტერესებული არ არიან ხალხთა შორის მეგობრობის ნამდვილი განმტკიცებით.

გაზეთი „ფიგარო" იუწყება, რომ დასავლეთის სამი სახელმწიფოს მთავრობებს სურთ სასწრაფოდ მიიღონ ინფორმაცია საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების შესახებ და ამ მიზნით ბელგრადიდან გაიწვიეს თავიანთი ელჩები.

გაზეთმა „კომბამ" გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც წერს: „ჯერ კიდევ მანამდე, სანამ რუსეთ-იუგოსლავიის მოლაპარაკება დამთავრდებოდა, შეიძლებოდა მტკიცება, რომ ეს მოლაპარაკება იქნება ევროპის პოლიტიკის, თუ არა მსოფლიო პოლიტიკის, მობრუნების პუნქტი".

გაზეთ „პარიზიენ ლიბერეს" აზრით, ერთობლივი დეკლარაცია ცხადყოფს „პრინციპულ თანხმობას" იმის შესახებ, რომ საჭიროა ბრძოლა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების შედეგებისადმი მიძღვნილ მოწინავე სტატიაში გაზეთი „ორორი" იძულებულია აღიაროს, რომ მთლიანად თათბირი წარმატებით დამთავრდა.

დეკლარაციისადმი მიძღვნილი დიდი სტატია გამოაქვეყნა გაზეთმა „ფრან-ტირერმა". იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ერთობლივი დეკლარაცია „განამტკიცებს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის შერიგებას" და ცხადყოფს „აშკარა დაახლოებას მათ შორის საერთაშორისო პოლიტიკის დარგში". „ფრან-ტირერი" აღიარებს, რომ ასეთი შედეგი მხოლოდ სასიხარულოა, რადგან იგი ხელს უწყობს მშვიდობის განმტკიცებას ევროპაში.

გაზეთი „ლიუმანიტე" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბელგრადში დამთავრებული მოლაპარაკების შედეგები მხოლოდ სასიხარულოა მშვიდობის მომხრეებისათვის, კეთილი ნების იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც მტკიცედ სწამთ, რომ შესაძლებელია უკლებლივ ყველა სახელმწიფოს შორის დამყარდეს უფლებების ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთსარგებლობაზე დაფუძნებული მტკიცე ურთიერთობა.

მეორე მხრივ, წერს გაზეთი, ეს შედეგები გულისწყრომას და უკმაყოფილებას გამოიწვევენ „ძალის პოზიციის" პოლიტიკის მომხრეებში, რომლებსაც სურდათ გადაექციათ იუგოსლავია „თოფისწამლის საწყობად" ბალკანეთში და რომლებიც ახლოს იყვნენ ამ მიზნის განხორციელებასთან. საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკამ კიდევ ერთი ბრწყინვალე წარმატება მოიპოვა...

ბელგრადის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრება, წერს გაზეთი, გააძლიერებს მისწრაფებას ერთიანობისადმი, რომელიც მშვიდობისათვის ბრძოლის შთამაგონებელია. ეს წარმატება მიღწეულია საერთაშორისო ურთიერთობისათვის გადამწყვეტ მომენტში, ოთხი სახელმწიფოს თათბირამდე რამდენიმე კვირით ადრე, როცა არის აზიის პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრის შესაძლებლობა, როცა დღის წესრიგში დგას ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხი. ყველა ამ საკითხში და გერმანიის საკითხში ბელგრადის მოლაპარაკებამ ცხადყო მისწრაფება წინსვლისადმი ხალხთა კეთილდღეობისა და მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებისათვის.

### ინგლისი

ლონდონი, 3 ივნისი. (საკდესი). ყველა ინგლისური გაზეთი თვალსაჩინო ადგილზე ათავსებს ცნობას საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების დამთავრების შესახებ. „ტაიმსი" მოლაპარაკების შედეგებს უძღვნის სარედაქციო სტატიას. „ნიუს ქრონიკლი" და „დეილი მეილი" ათავსებენ თავიანთი მიმომხილველთა სტატიებს ამ თემაზე. კომენტარებში გამოსჭვივის გაბრაზება საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების გამო.

„ტაიმსი" სარედაქციო სტატიაში, აცხადებს რა, რომ „ნამდვილი შედეგები მოლაპარაკებისა, რომელიც ამ კვირაში წარმოებდა ბელგრადში, ერთბაშად არ გამოვლინდება", წერს, რომ საბოლოო ანგარიშით სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციის ჩასვლამ ბელგრადში „შეიძლება დიდი შედეგები მოიტანოს არა მარტო იუგოსლავიისა და რუსეთისათვის", არამედ აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყნისათვის.

ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გუშინ საღამოს უარი თქვა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის დეკლარაციის კომენტირებაზე, სანამ მას გულდასმით არ შეისწავლიან.

### ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 3 ივნისი. (საკდესი). ყველა დილის გაზეთი თვალსაჩინო ადგილს უთმობს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დეკლარაციას, რომელსაც ხელი მოაწერეს 2 ივნისს ბელგრადში. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსს" მოჰყავს დეკლარაციის ტექსტი. გაზეთების ვაშინგტონელ კორესპონდენტთა ცნობები, რომლებიც შეიცავენ გამოხმაურებას საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების დამთავრების გამო, მოწმობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეები უკმაყოფილო არიან არა მარტო საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების შედეგებით, არამედ ამ მოლაპარაკების გამართვის თვით ფაქტითაც. გამოთქვამენ რა სხვადასხვა მოსაზრებას მოლაპარაკების მნიშვნელობისა და იმ გავლენის შესახებ, რომელიც მან შეიძლება მოახდინოს საერთაშორისო ვითარებაზე, ეს კორესპონდენტები და მიმომხილველნი ამჟღავნებენ ამერიკის დიპლომატიის მისწრაფებას მიიჩნიოს იუგოსლავია არა თავისთავად და დამოუკიდებელ ფაქტორად საერთაშორისო ასპარეზზე, არამედ ისეთ სახელმწიფოდ, რომელიც თითქოს მოვალეა დაემორჩილოს ამერიკის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობას.

პრესის ცალკეულ გამოსვლებში გამოსჭვივის ცუდად დაფარული მუქარა და გადაკრული შენიშვნები იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეიძლება მიმართონ ეკონომიურ რეპრესიებს. ამასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბელგრადში გაიწვია ვაშინგტონს „მოხსენებისათვის", ზოგიერთი გაზეთი მოითხოვს მოეწყოს უახლოეს დროში მოლაპარაკება ერთი მხრივ ამერიკის შეერთებულ შტატებსა, ინგლისსა და საფრანგეთს და მეორე მხრივ იუგოსლავიას შორის.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა თავი აარიდა კომენტარებს, „განაცხადა რა, რომ დეკლარაციის შესასწავლად და ადგილზე მყოფი ამერიკელი დიპლომატებისაგან ოფიციალური ცნობების მისაღებად საჭიროა დრო".

რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იტყობინება, რომ „იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის ერთობლივმა გამოსვლამ ფორმოზის მიმართ კომუნისტური ჩინეთის უფლებათა დასაცავად და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის მიღების სასარგებლოდ გაკვირვება და ერთგვარი იმედგაცრუება გამოიწვია ვაშინგტონის ოფიციალურ წრეებსა და კონგრესის წრეებში".

შემდეგ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ კონგრესის წრეებში შემჩნეულია ძლიერი მისწრაფება ზეგავლენა მოახდინონ იუგოსლავიაზე.

სენატის საგარეო საქმეთა კომისიის წევრმა სენატორმა ჰომერ კეიპჰარტმა (რესპუბლიკელი, ინდიანის შტატი) განაცხადა, რომ დეკლარაცია „ვერ შეუწყობს ხელს ტიტოს ურთიერთობას შეერთებულ შტატებთან".

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მიმომხილველი უილიამ რაიანი ჩივის, რომ დეკლარაცია „მხარს უჭერს საბჭოთა კომუნისტებისა და მთელი მსოფლიოს კომუნისტების პოზიციებს როგორც გერმანიის, ისე ჩინეთის საკითხში".

### გერმანია

ბერლინი, 3 ივნისი. (საკდესი). დღეს გერმანიის დემოკრატიული პრესა პირველ გვერდზე დიდი სათაურებით ათავსებს ცნობებს, რომ ბელგრადში ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დეკლარაციას. გაზეთები ათავსებენ დეკლარაციის სრულ ტექსტს ან დაწვრილებით შინაარსს და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ იგი შეიცავს მოწოდებას ყველა ერისადმი მიაღწიონ მოლაპარაკების გზით ყველა საერთაშორისო საკითხის გადაჭრას.

გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ორივე დელეგაცია მხარს უჭერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოთხოვნას კუნძულ ტაივანის განთავისუფლებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის კანონიერი ადგილის მინიჭების შესახებ.

დეკლარაციაში აგრეთვე აღნიშნულია, განაგრძობს გაზეთი, რომ საჭიროა გერმანიის საკითხი გადაიჭრას დემოკრატიულ საფუძველზე და გერმანელი ხალხის სურვილებისა და ინტერესების, აგრეთვე საყოველთაო უშიშროების ინტერესების შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით, წერს „ნოიეს დოიჩლანდი", მოითხოვენ შექმნან კოლექტიური უშიშროების საყოველთაო სისტემა, აგრეთვე ევროპის უშიშროების სისტემა.

პრესაში აღნიშნულია საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთსურვილი მჭიდრო ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა დაამყარონ ორივე ქვეყანას შორის და გადადგან ერთობლივი ნაბიჯები მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების საქმეში.

ბერლინი, 3 ივნისი. (საკდესი). ცნობებში, რომლებიც დაბეჭდილია პირველ გვერდებზე დიდი სათაურებით, დასავლეთ ბერლინის პრესა ათავსებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დეკლარაციის დაწვრილებით შინაარსს.

იმ ცნობის ქვესათაურში, რომელიც გაზეთმა „დი ველტმა" გამოაქვეყნა, ხაზგასმით აღნიშნულია, რომ დეკლარაციაში არის მოთხოვნა — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მიენიჭოს მისი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, საყოველთაოდ შემცირდეს შეიარაღება, აიკრძალოს ატომური იარაღი და მშვიდობიანი მიზნით გამოყენებულ იქნას ატომის ენერგია და რომ მოლაპარაკების მონაწილეები ემხრობიან გერმანიის საკითხის გადაჭრას გერმანელი ხალხისა და საყოველთაო უშიშროების ინტერესებისათვის.

გაზეთი „შპანდაუერ ფოლკსბლატი" აღნიშნავს, რომ დეკლარაცია მოწმობს ორივე მთავრობის ერთიან აზრს ორი სახელმწიფოს ურთიერთობის ნორმალიზაციისა და თანამშრომლობის განვითარების შემდგომ ღონისძიებათა შესახებ.

ყველა სხვა გაზეთი მათ მიერ გამოქვეყნებულ ცნობებში გამოჰყოფს დეკლარაციის იმ ადგილებს, სადაც ნათქვამია, რომ საჭიროა მშვიდობიანი გზით გადაიჭრას ისეთი საერთაშორისო პრობლემები, როგორიც არის შეიარაღების შემცირება, ატომური იარაღის აკრძალვა და ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენება, გერმანიის საკითხის მშვიდობიანი დემოკრატიული მოწესრიგება და სხვ.

დასავლეთ ბერლინის ყველა გაზეთი კომენტარს უკეთებს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების შედეგებს მოწინავე ან სარედაქციო სტატიებში.

---

# სახელოვანი გზა

ნახევარ საუკუნეზე მეტმა განვლო, რაც ცნობილი ხალხოსნისა და საზოგადო მოღვაწის შიო დავითაშვილის ასული ნინო ემსახურება ქართული თეატრის განვითარების მნიშვნელოვან საქმეს. პოლიტიკურად არასაიმედოდ მიჩნეული შიო დავითაშვილის შვილებს სახელმწიფო სკოლაში სწავლა აკრძალული ჰქონდათ, კერძო სასწავლებელში მათთვის განათლების მიცემის მატერიალური საშუალება კი ოჯახს არ გააჩნდა. პოლიციისაგან მუდმივ დევნილი შიო დავითაშვილი ხშირ პატიმრობაში იყო და სახელმწიფო სამსახურში შესვლა არ შეეძლო. ნინოს დედა ადრე გარდაიცვალა, და ბავშვი აღსაზრდელად ბიძამ, ნიკომ, გორიდან წრომში წაიყვანა. იმ დროისათვის საკმაოდ განათლებულ ნიკოს ვაჟიშვილები სასულიერო სემინარიაში სწავლობდნენ. შემდეგში ისინი რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილენი გახდნენ. ამ ოჯახში შეიყვარა ნინომ წიგნი და კარგი შინაური განათლებაც მიიღო.

1902 წელს ნინო გაემგზავრა თბილისს, რათა ოთხი კლასის პროგრამით ჩაებარებინა გამოცდა და სოფლის მასწავლებლის ცენზი მიეღო, მაგრამ თბილისის მუშათა თეატრის თავდადებულმა მოღვაწემ მარიამ დემურიამ ახალგაზრდა ნინო სახალხო თეატრის მუშაობაში ჩააბა და ავჭალის აუდიტორიაში წაიყვანა. აი აქ, ამ აუდიტორიის სცენაზე ნიკო გოცირიძის რეჟისორობით გადადგა პირველი ნაბიჯები ნინო დავითაშვილმა, ჩვენმა სასიქადულო მსახიობმა.

ერთი წლის შემდეგ ვალერიან გუნიამ დემოკრატიული მაყურებლის მიერ მოწონებულ ახალგაზრდა მსახიობს ქართული პროფესიული თეატრის მიერ გამოცხადებულ მისაღებ გამოცდებზე წარდგომა ურჩია, ხოლო დიდმა ილია ჭავჭავაძემ ქართველი მოწინავე ინტელიგენციით სავსე საკონკურსო დარბაზში საგამოცდო პროგრამა-ფურცელზე წააწერა — „დავითაშვილის ქალი უთუოდ უნდა იქნეს დასში მიღებული".

პროფესიულ თეატრში ჩარიცხულ ნ. დავითაშვილს დრამატული დასის მეთაურმა აკაკი წერეთელმა სადებიუტოდ მისცა ტურფას როლი თავის პიესა „პატარა კახში".

პირველსავე სპექტაკლებში გამომჟღავნდა ახალგაზრდა მსახიობის დამახასიათებელი თვისებები — გულწრფელობა, სითბო და სისადავე, რის გამო გახარებულმა ლადო მესხიშვილმა განაცხადა, რომ ქართულმა თეატრმა ნინო დავითაშვილის სახით საიმედო ძალა შეიძინა.

ვლ. მესხიშვილთან, ვ. აბაშიძესთან, ნ. გაბუნიასთან და მ. საფაროვა-აბაშიძესთან ერთად სპექტაკლებში მონაწილეობა დიდი სკოლა იყო ახალგაზრდა მსახიობისათვის. სახელოვანი პარტნიორები მასწავლებლობას უწევდნენ მსახიობ ქალს. ამან დიდად შეუწყო ხელი ნ. დავითაშვილის ზრდა-დაოსტატების საქმეს.

1904-1905 წლის სეზონისათვის ნ. დავითაშვილი ლადო მესხიშვილმა მიიწვია ქუთაისში. აქ ნინომ 1910 წლამდე იმუშავა. მაგრამ ეს მცირე დრო მეტად მნიშვნელოვანია მსახიობის შემოქმედებით ბიოგრაფიაში.

ამ პერიოდში ნინო დავითაშვილმა შექმნა ისეთი სცენიური სახეები, როგორიც არიან ოფელია („ჰამლეტი"), დედოფალი („რუი ბლაზი"), მერცია („ახალი მოძღვრება"), პოლია („ცხოვრების გარეშე"), ქეთევანი („სამშობლო"), მარია ანტონოვნა („რევიზორი"), ვასილისა („ფსკერზე"), ივდითი („ურიელ აკოსტა"), ამალია („ყაჩაღები") და მრავალი სხვ. მსახიობ ქალთა შორის ნინო დავითაშვილი ნინო ჩხეიძესთან ერთად ქართული თეატრის საუკეთესო ძალას წარმოადგენდა.



ბაქოში იყო საგასტროლოდ, ქუთაისში, თბილისში თუ სხვაგან, მსახიობი ყველგან იმსახურებდა მაყურებლის დიდ მოწონებასა და სიყვარულს. საყოველთაო იყო აზრი, რომ იგი ახალი რეალისტური სკოლის მიმდევარია, რითაც შუქს ჰფენს ქართულ სცენასო.

ქართულ საბჭოთა თეატრში ნინო დავითაშვილი, რომელმაც მსახიობ-მოქალაქის ძნელი, მაგრამ კეთილშობილი გზა განვლო, მოვიდა, როგორც ერთი იმათგანი, ვისთვისაც ძვირფასი იყო მშრომელთა ინტერესები, ვისაც ფართო ასპარეზი გადაეშალა წინ შემოქმედებითი ძალების განვითარებისათვის.

სახალხო სახლში ნამუშევარს, აკაკის ხელმძღვანელობით ფეხადგმულსა და ლადო მესხიშვილის მიერ აღზრდილ მსახიობს მშრომელი ხალხი, დემოკრატიული მაყურებელი, ახალი, საბჭოთა ქართული თეატრის მშენებლობისაკენ მოუხმობდა.

სამ ათეულ წელზე მეტია, რაც დიდად ნაამაგდარი ნინო დავითაშვილი რუსთაველის სახელობის თეატრში საიმედო ძალად ამოსდგომია გვერდით ახალგაზრდა კოლეგებს და უშრეტი ენერგიით ემსახურება ქართული საბჭოთა თეატრის წინსვლის საქმეს. ქართულ საბჭოთა სცენაზე მან შექმნა როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი თანამედროვე დრამატურგიის საუკეთესო სცენიური სახეები.

ნინო დავითაშვილის თანამოღვაწეებს უყვართ მასთან მუშაობა, რადგან მისი სამსახიობო შემოქმედება მხატვრული სისადავის ნიმუშია.

ნინო დავითაშვილის დამსახურება ღირსეულად აღნიშნულია ხალხისა და კომუნისტური პარტიის მიერ. ჯერ კიდევ 1930 წელს მიენიჭა დამსახურებული არტისტის წოდება, ხოლო შემდეგ რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება. იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის და „საპატიო ნიშნის" ორდენებით და მედლებით.

მადლიერი ქართველი საზოგადოებრიობა გულთბილად აღნიშნავს ღვაწლმოსილი, ხალხისათვის საყვარელი მსახიობის ნინო დავითაშვილის დაბადების 70-ე და სასცენო მოღვაწეობის 50-ე წლისთავს.

ნ. შვანგირაძე.

---

# პრემიერ-მინისტრი ნერუ მოსკოვს გამოემგზავრა

დელი, 4 ივნისი. (საკდესი). დღეს ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ დელიდან მოსკოვს გაფრინდა. მას თან ახლავს თავისი ქალიშვილი ინდირა განდი.

ნერუ შეჩერდება პუნასა და ბომბეიში. 5 ივნისს იგი ბომბეიდან გაფრინდება და კაიროს, რომსა და პრაღაზე გავლით ჩავა საბჭოთა კავშირში.

ნერუ აეროდრომზე გააცილეს ინდოეთის ვიცე-პრეზიდენტმა რადჰაკრიშნანმა, ინდოეთის მთავრობის წევრებმა, დიპლომატიურმა კორპუსმა, საბჭოთა კავშირის ინდოეთის საელჩოს წარმომადგენლებმა, აგრეთვე მრავალმა ჟურნალისტმა და ინდოეთის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

# ნერუს ინტერვიუ „დეილი უორკერის" კორესპონდენტისადმი

ლონდონი, 4 ივნისი. (საკდესი). უპასუხა რა გაზეთ „დეილი უორკერის" დელის კორესპონდენტის კითხვებზე, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ თავის მომავალ გამგზავრებაზე საბჭოთა კავშირში განაცხადა: „რომ არაფერი ვთქვა ყველა ქვეყანასთან მეგობრობის ჩვენს საერთო პოლიტიკაზე, მე მიმაჩნია, რომ ინდოეთს შეუძლია ბევრი რამ ისწავლოს რუსეთისაგან. ორივე ქვეყანას შეუძლია სარგებლობა მიიღოს ერთიმეორისადმი მეგობრობითა და ნდობით... მე მივემგზავრები საბჭოთა კავშირში არა მარტო ისე, რომ არა მაქვს რაიმე წინაზრახვა, არამედ მივემგზავრები გულწრფელი მისწრაფებით გამსჭვალული, მზად ვარ გამოვეხმაურო საბჭოთა ხალხის გრძნობებს. დიდი მოუთმენლობით მოველი შეხვედრას საბჭოთა ადამიანებთან. მე მინდა გავიგონო, რა გაუკეთებიათ, საკუთარი თვალით ვნახო ყველაფერი. მე იქ მივემგზავრები, რათა ვისწავლო".

ნერუმ იმედი გამოთქვა, რომ განუხრელად გაფართოვდება საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ვაჭრობა.

კითხვაზე, მიგაჩნიათ თუ არა, რომ ხუთი პრინციპი, რომლებიც განსაზღვრავენ ინდოეთისა და ჩინეთის ურთიერთობას, შეიძლება გამოვიყენოთ ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაშიო, ნერუმ უპასუხა: „რა თქმა უნდა, კი. ეს პრინციპები უნდა დაედოს საფუძვლად ყველა ქვეყნის ურთიერთობას, მათ შორის ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას. მე ვაცხადებ, რომ არცერთი ქვეყნისათვის, თუ მას ომი არა სურს, არ არსებობს სხვა გზა, გარდა იმისა, რომ მიიღოს მშვიდობიანი თანაარსებობის კონცეპცია".

# დიპლომები და მედლები გადაეცათ მევიოლინეთა 1955 წლის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატებს

ბრიუსელი, 3 ივნისი. (საკდესი). გუშინ ბრიუსელში ბელგიის დედოფალმა ელისაბედმა დიპლომები და მედლები გადასცა მევიოლინეთა 1955 წლის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატებს. დიპლომები და მედლები გადაეცა 12 ლაურეატს, მათ შორის ოთხსავე საბჭოთა მევიოლინეს — ი. სიტკოვეცკის, ვ. პიკაიზენს, მ. იაშვილსა და ა. პოლიტკოვსკის.

საერთაშორისო კონკურსის ლაურეატებისათვის დიპლომებისა და მედლების გადაცემის ცერემონიას დაესწრნენ კონკურსის ჟიურის წევრები, დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან ბელგიაში, პარლამენტის სენატორები და დეპუტატები, ბელგიის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ბელგიაში ვ. ი. ავილოვი.

# [illegible] ფეხბურთში

გუშინ მოსკოვში გაიმართა მორიგი საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობდნენ ბრატისლავას „კრასნაია ზვეზდასა" და დედაქალაქის „ტორპედოს" გუნდები. მატჩი დამთავრდა მოსკოვის ტორპედოელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

# „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი)

გუშინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მორიგი შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვის „ლოკომოტივისა" და თბილისის „დინამოს" გუნდები.

ანგარიში გახსნეს სტუმრებმა. 30-ე წუთზე ა. ღოღობერიძემ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა ვერ გამოიყენა, ბურთი აცდენა კარს.

პირველი ტაიმი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ ანგარიშით 2:1.

შეჯიბრების მეორე ნახევარში ლოკომოტიველებმა 2 ბურთი გაიტანეს თბილისელთა კარში.

მატჩი დამთავრდა მოსკოვის „ლოკომოტივის" გამარჯვებით ანგარიშით 3:2.

# ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი" № 5

გამოვიდა და ხელისმომწერლებს დაურიგდათ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი".

ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი მასალები: მოწინავე — საბჭოთა ქვეყანა მთელ მსოფლიოში მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის დასაყრდენია; სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის მასალები — ვ. ი. ლენინის სტატიები, რომლებიც დაბეჭდილი იყო გაზეთ „პრავდაში" 1913 წლის მაის-ივნისში და არ შესულა ვ. ი. ლენინის თხზულებებში; ტ. კვანჭილაშვილი — ლენინი და სტალინი ჩვენი პრესის ხასიათისა და ამოცანების შესახებ; ვ. კიკნაძე—ბოლშევიკური გაზეთი „პროლეტარი"; ი. ხარისჩარიშვილი — კოლმეურნეობებში რძის წარმოების გაფართოების ამოცანების შესახებ; ლექცია და კონსულტაცია — ა. მერცხულავა — დემოკრატიული ცენტრალიზმი სკკპ ორგანიზაციული მშენებლობის სახელმძღვანელო პრინციპია; პარტიული ცხოვრება — გ. რუხაძე — პარტიული ორგანიზაცია და წარმოების ეკონომიკის საკითხები; ი. რთველიაშვილი — შესრულების შემოწმება პარტიული მუშაობის უმნიშვნელოვანესი უბანია; კრიტიკა და ბიბლიოგრაფია—ს. ბერიძე, ი. კაჭარავა — ნარკვევები ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის ისტორიიდან. პარტიული ქრონიკა.

# ნინო დავითაშვილის იუბილე

ორშაბათს, 6 ივნისს, საღამოს 8 საათზე რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში მოეწყობა რესპუბლიკის სახალხო არტისტის ნინო დავითაშვილის დაბადების 70 წლისა და სასცენო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე.

საზეიმო ნაწილის შემდეგ ნ. დავითაშვილის მონაწილეობით ნაჩვენები იქნება ს. შანშიაშვილის „არსენა" (II მოქმედება), ვ. დარასელის „კაკუძე" (I მოქმედების მეორე სურათი).

საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის თეატრებისა და საქართველოს ფილარმონიის მსახიობები.

რედაქტორი ნ. ჯაში.

---

## დღეს თბილისის თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — კარმენი (დილას), ევგენი ონეგინი (საღამოს, დ. გამრეკელის მონაწილეობით), **რუსთაველის სახელობის** — ნ. ბარათაშვილი (დილას), ვასა ჟელეზნოვა (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — მაია წყნეთელი (დილას), მარიამ სტიუარტი (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — იასამნის ბაღში (დილა-საღამოს), **სომხური დრამის** — კამო (დილას), სოსი და ვარდითერი (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — სალხინობელი (დილას), ჩვენი ნაცნობები (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გლახის ნაამბობი (აბონემენტი № 50, 11 ს., აბონემენტი № 43 6 ს.).

### კინოთეატრებში

**რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები** — დილა მშვიდობისა, კოლხიდა, კოლმეურნე, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — კრაზანა, ოფიცერთა სახლი — სექტემბრის გმირები, კომკავშირელი — ახალგაზრდა კარუზო, კოლხიდა (საზაფხულო) — უმზითვო, ისანი (საზაფხულო) — სათადარიგო მოთამაშე, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო)—„ბოგატირი" მიდის მარტოში, დიდუბე — ჯამუშობის ქსელი, კიროვის სახელობის პარკი — ავარა (I და II სერია).

## დისერტაციების დაცვა

### სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1955 წ. 17 ივნისს დღის 3 საათზე № 120 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 1) გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

**კუკური გიორგის-ძე მგელაძე**

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ცენტრალური აფხაზეთის მთლიანი ნაწილის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებისათვის".

ფიზიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1955 წ. 17 ივნისს დღის 3 საათზე ფიზიკის აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 3) ფიზიკა—მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

**გიორგი იაკიმეს-ძე მურუსიძე**

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Опыт применения комбинированного метода сейсмической разведки для исследования глубинных структур Мухранской депрессии".

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

---

ძმები სამსონ, შალვა, ამირან ოჯახებით იუწყებიან

**გიორგი ესტატეს-ძე ჭინჭარაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6-VI, 8 ს. გამოსვენება 7-VI, 6 ს. გოცირიძის ქ. № 25.

---

მეუღლე მარო, შვილები მიმი, ციცო, ქალიშვილები ნათესავებით იუწყებიან

**ალექსანდრე საბას-ძე ნიკურაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6-VI, 8 ს. გამოსვენება 7-VI, 6 ს. გოგოლის ქ. № 62.

---

შვილები გიორგი, ნინო ოჯახებით იუწყებიან

**ნატალია ივანეს ასულ ბულაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6-VI, 8 ს. გამოსვენება 7-VI, 6 ს. ანაგის ქ. № 18.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 04217

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.